# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 3 ოქტომბერი 2008 №228 (3452) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



# მოსალოდნელი მოულოდნელობა: მალხაზ ასათიანი ნაკრებში არ არის

## კუპერმა კომენტარი არ ისურვა



საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჰექტორ რაულ კუპერმა 11 და 15 ოქტომბერს, შესაბამისად, კვიპროსთან და ბულგარეთთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის კიევის „დინამოს" მცველი მალხაზ ასათიანი არ გამოიძახა.

საქართველო არ არის განებივრებული ისეთი კლასის ფეხბურთელებით, როგორიც ასათიანია, თუმცა პირდაპირ ვთქვათ — ნაკრების დაკომპლექტება მთლიანად მწვრთნელის კომპეტენციაა. ელემენტარულად, თუ შედეგზე პასუხისმგებელი მწვრთნელია, სელექციაც მხოლოდ და მხოლოდ მისი შესარჩევია.

დიახ, ეს უეჭველად ასეა, თუმცა სპორტულ ჟურნალისტსაც აქვს უფლება, იკითხოს, რატომ გამოიძახა, ან არ გამოიძახა ესა თუ ის ფეხბურთელი.

ბუნებრივია, ასათიანის გამოუძახებლობისთვის კუპერს მიზეზებიც აქვს, სამწუხარო კი ის არის, რომ ჩვენ, სპორტულ ჟურნალისტებს და გულშემატკივრებს მიზეზის შეტყობის საშუალება არ გვაქვს. მოგეხსენებათ და, ეს კარგა ხნის წინ გვეწერა, რომ კუპერი ინტერვიუებისადმი მწყრალადაა განწყობილი და კომენტარების გაკეთებას მხოლოდ სავალდებულო პრესკონფერენციებზე აკეთებს.

ამდენად, ჩვენ მხოლოდ ვარაუდების გამოთქმის საშუალება გვაქვს და თუ ეს ვარაუდი სწორი არ აღმოჩნდა, მოგვიტევონ და, ჩვენი ბრალი ნაღდად არ იქნება. ვარაუდი კი ასეთია: ირლანდიასთან მატჩის მერე ასათიანმა კუპერს სთხოვა, იტალიასთან თუ არ მათამაშებთ, ეგებ კლუბში გამიშვათო. კუპერი ამ თხოვნას უყოყმანოდ დათანხმდა, მაგრამ, როგორც ჩანს, არ მოეწონა და აი, შედეგიც...

გუშინვე კიევში მალხაზ ასათიანს დავურეკეთ და სწორედ ჩვენ აღმოვჩნდით მისთვის არასასიამოვნო ამბის შემტყობინებლები...

„გული დამწყდა — გვითხრა მალხაზმა — ადრე რომ არ გამოვეძახებინე და მიზეზი სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობა ყოფილიყო, ამას გავიგებდი. თუმცა კიევის „დინამოში" ჩემი გადმოსვლის მერე ეს მიზეზი აღარ არსებობს. უკრაინის ჩემპიონატში მუდმივად შემადგენლობაში ვარ, ჩემპიონთა ლიგაში კი შეცვლაზე მათამაშებენ. ხოლო თუ ჩემი გამოუძახებლობის მიზეზი იტალიასთან მატჩისთვის გათავისუფლების თხოვნაა და ისიც იმ შემთხვევაში თუ არ მათამაშებდნენ, ძალიან გაკვირვებული ვარ. როცა ფედერაციის პრეზიდენტსაც და ნაკრების მწვრთნელსაც ეს ვთხოვე, უკმაყოფილება არ გამოუხატავთ. პირიქით, გამამხნევეს. სხვაგვარად ნაკრებიდან წამოსვლას არც ვითხოვდი.

გუშინ გამოქვეყნებული სანაკრებო სია კი ასეთია:

***მეკარეები:*** *გიორგი ლომაია (ლოკომოტივი), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი), გრიგოლ ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია);*

***მცველები:*** *კახა კალაძე (მილანი, იტალია), ზურაბ ხიზანიშვილი (ბლეკბერნი, ინგლისი), ლაშა სალუქვაძე (რუბინი, რუსეთი), მათე ღვინიანიძე (მიუნხენ 1860, გერმანია), ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია), გიორგი შაშიაშვილი (შტურმი, ავსტრია);*

***ნახევარმცველები:*** *ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია), ზურაბ მენთეშაშვილი (ვენტსპილსი, ლატვია), ლევან ყენია (შალკე, გერმანია), ლევან ხმალაძე (დინამო), დავით ოდიკაძე (დინამო), დავით კვირკველია (რუბინი, რუსეთი), გიორგი მერებაშვილი (დინამო), ლუკა რაზმაძე (ვიტ ჯორჯია);*

***თავდამსხმელები:*** *ალექსანდრე იაშვილი (კარლსრუე, გერმანია), დავით სირაძე (ნალჩიკი, რუსეთი), რატი ალექსიძე (ლოკომოტივი), ლევან მჭედლიძე (პალერმო, იტალია), ბექა გოცირიძე (ზესტაფონი).*

და ერთიც, ადრე ნათქვამი, კუპერის ერთ-ერთი თანაშემწე ქართველი იქნებაო, როგორც ჩანს, ნათქვამად დარჩა. რა აუცილებლობა იყო, თანაშემწედ ქართველის დანიშვნის რეკლამირება?

# კახა კალაძე დაიმტვრა! ლევან ყენიას აუფ-დებიუტი

ჰექტორ რაულ კუპერის მიერ კვიპროსთან და ბულგარეთთან მატჩებისთვის ჩამოწერილ და გუშინ გამოქვეყნებულ სანაკრებო სიაში ერთი ძალიან მნიშვნელოვანი და სამწუხარო იძულებითი ჩასწორება ალბათ დღესვე გახდება საჭირო: წუხელ, უეფას თასზე „ციურიხი" — „მილანის" მატჩის 30-ე წუთზე საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე ისე დაშავდა, რომ თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო და პაოლო მალდინიმ შეცვალა.

ცხადია, იმ წამსვე აბსოლუტური სიზუსტით შეუძლებელია თქმა, თუ რამდენად სერიოზულია ტრავმა და რამდენ ხანს გააცდენინებს ფეხბურთელს, მაგრამ წინასწარი დასკვნა საიმედოს ვერაფერს გვეუბნება: კაპიტნის კვიპროსთან და ბულგარეთთან თამაში პრაქტიკულად გამორიცხულია.

ამ უსიამოვნო ამბის გარდა წუხელ უეფას თასის მატჩებში სასიამოვნოც მოხდა: 17 წლის ლევან ყენიას „შალკეში" დებიუტი „აუფ-შალკეზე" აპოელ-თან მატჩში ჰქონდა.



ლევან ყენიას დებიუტი პირველმა ლევან კობიაშვილმა მიულოცა

## ექვსი სიტყვა, რომლებმაც შეძრეს ზინედინ ზიდანი

## სამი სენსაციური ცნობა დიდ ფეხბურთელზე დაწერილი ახალი წიგნიდან




ჩვენი კორესპონდენტი მაია ჯიჯავა რომიდან

## ბანდა პუტინის ქალაქიდან

### რუსული ფეხბურთით აღფრთოვანებას ნუ იჩქარებთ

### ზენიტს უეფას თასის ნახევარფინალის მერე ფინალიც უყიდიაო. ფასი: 32 000 000 გირვანქა!



სხვა გზა არ გვაქვს: ველოდებით ექტორ რაულ კუპერის პრესკონფერენციას

# გოგი ქავთარაძე: ასათიანი? ეს კითხვა კუპერს ეკუთვნის

ცხელი ოქტომბერი მოდის ქართული ფეხბურთისთვის — 11 და 15 ოქტომბერს ეროვნულ ნაკრებს ორი საშინაო მატჩი აქვს, ამას გარდა, მალე ალბათ პეტარ სეგრტის შემცვლელსაც შევიტყობთ 21-წლამდელთა ნაკრებში. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ გოგი ქავთარაძეს მოკლედ ვესაუბრეთ ამ საკითხებზე, თავიდან კი მალხაზ ასათიანით დავიწყეთ — ექტორ რაულ კუპერმა კიევის „დინამოს“ მცველი კვიპროსთან და ბულგარეთთან მატჩებისთვის არ გამოიძახა...

— ვერაფერს გეტყვით. ეს ჩემი კომპეტენცია არ არის. ასათიანის გამოუძახებლობაზე კუპერმა უნდა თქვას.

— მაგრამ კუპერი ქართველ ჟურნალისტებთან მხოლოდ პრესკონფერენციაზე საუბრობს. როდის ექნება პრესკონფერენცია?

— კვიპროსთან მატჩის წინა დღეს.

— მანამდე არა?

— რამდენადაც ვიცი, კუპერი სპეციალურ პრესკონფერენციას მანამდე არ გეგმავს.

— ასათიანის ნაკრებში არყოფნის მიზეზი კონფლიქტია?

— ამას კონფლიქტს ვერ დავარქმევ. ჩემგან საერთოდ ძნელია ამ საკითხზე ლაპარაკი. მე არც მიკითხავს კუპერისთვის, რატომ არ დაუძახა ასათიანს.

— პეტარ სეგრტზეც ვთქვათ: ის თბილისშია და შეხვდით?

— არ შევხვედრივარ. უახლოეს დღეებში გაირკვევა, როდის იქნება აღმასკომის სხდომა. ჩემი პოზიცია სეგრტის გაშვება-არგაშვებაზე იცით, მის გათავისუფლებას ემხრობა აღმასკომის წევრთა უმრავლესობაც. სეგრტის შესაძლო შემცვლელებზე ლაპარაკი ჯერ არ არის მიზანშეწონილი — ხორვატი ჯერ მოქმედი მწვრთნელია.

— და კიდევ: კუპერის ერთ-ერთ თანაშემწედ ქართველი შეიძლებოდა ყოფილიყო. ეს საკითხი დახურულია?

— ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბი დაკომპლექტებულია და ამდენად... თუ კუპერი მოინდომებს ქართველ თანაშემწეს, მაშინ კი, ბატონო.

ილია ნანობაშვილი

გეცოდინებათ, ასათიანი სექტემბერში ირლანდიასთან 1:2 წაგების შემდეგ (სადაც მატჩის ბოლოს შევიდა შეცვლაზე) კუპერს ესაუბრა, იტალიასთან თუ ვერ მათამაშებთ, გთხოვთ, კიევის „დინამოში“ გამიშვათ, კლუბში ახალი გადასული ვარ და მომზადება მინდაო. კუპერმა ასათიანი გაუშვა...

P.S. გუშინ კუპერმა ასათიანის გამოუძახებლობაზე „სარბიელთან“ კომენტარზე უარი თქვა.

## საქართველოს 20 ჩემპიონატი
### პირველი ლიგა. I წრე. 5 ტური

თბილისი. 2 ოქტომბერი. 15 საათი. ამერი. 200 მაყურებელი

**ამერი 4:1 ჰერეთი**

0:1 კუპრაშვილი (2), 1:1 ჩიმაკაძე (6), 2:1 ლაფერაშვილი (52), 3:1, 4:1 ქებაძე (78, 90)

ამერი: ლ. ნადირაშვილი, გვაძაბია, ელბაქიძე, თ. სანიკიძე, კაკაბაძე, ხუციძე (გ. ჯელაძე 80), ლაფერაშვილი, ჩიმაკაძე (ცხოვრებაშვილი 80), ტიკურიშვილი, ლ. ბოჯგუა (ნ. ქებაძე 46), ბენდელიანი

*სათადარიგონი:* გვენცაძე, გ. ხელაძე, ჯინიკაშვილი, ფუტკარაძე

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

ჰერეთი: ბილიხოძე, ხარაიშვილი, ლომიძე, ფარულავა, მაჭარაშვილი, თანდაშვილი (ვარამიშვილი 68), კუპრაშვილი (მაჭავარიანი 55), ყორღანაშვილი, გვარაძე (წვერავა 46), შ. ლობჟანიძე, თოფურია

*სათადარიგონი:* გრიგოლაშვილი, ზედგენიძე, მატვიენკო

მწვრთნელი: ვლადიმერ ონიანი

გაფრთხილება: სანიკიძე (17), მაჭავარიანი (61), ფარულავა (63)

მსაჯი: ვ. ელისაბედაშვილი

დამკვირვებელი: ა. კაჭახიძე

2 ოქტომბერი

**თბილისი 0:3 ვიტ ჯორჯია 2**
**ამერი 4:1 ჰერეთი**
**გაგრა 2 2:4 ჩიხურა**
**სიონი 2 2:2 დინამო 2**
**კახეთი 0:1 დილა**

2 ოქტომბერი

**ბაია 2:0 ზესტაფონი 2**
**სამტრედია 0:1 მერანი (მ)**
**ჭიათურა 3:0 ბათუმი**
**გურია 1:0 ტორპედო 2008**
**კოლხეთი 1:0 მეშახტე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 5 | 3 | 2 | 0 | 8:4 | 11 |
| დილა | 5 | 3 | 1 | 1 | 9:3 | 10 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 10 |
| ამერი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:4 | 10 |
| ჩიხურა | 5 | 2 | 2 | 1 | 11:6 | 8 |
| სიონი 2 | 4 | 2 | 1 | 1 | 9:8 | 7 |
| ნორჩი დინამო | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | 4 |
| თბილისი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | 4 |
| კახეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:7 | 3 |
| ჰერეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:10 | 3 |
| გაგრა 2 | 5 | 0 | 0 | 5 | 5:14 | 0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჭიათურა | 5 | 4 | 0 | 1 | 14:4 | 12 |
| ბაია | 4 | 3 | 1 | 0 | 8:1 | 10 |
| კოლხეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 4:1 | 10 |
| სამტრედია | 5 | 3 | 0 | 2 | 6:3 | 9 |
| მერანი (მ) | 3 | 2 | 1 | 0 | 4:0 | 7 |
| ხობი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 5 |
| გურია | 4 | 1 | 2 | 1 | 3:6 | 5 |
| ზესტაფონი 2 | 4 | 1 | 1 | 2 | 1:5 | 4 |
| ბათუმი | 5 | 0 | 2 | 3 | 2:8 | 2 |
| ტორპედო 2008 | 5 | 0 | 1 | 4 | 0:5 | 1 |
| მეშახტე | 5 | 0 | 1 | 4 | 3:12 | 1 |

## უიღბლო დაწყება და იღბლიანი დამთავრება

**თამაში** დაიწყო თუ არა, მალევე „ჰერეთმა“ ჯარიმის უფლება მოიპოვა და მერაბ კუპრაშვილმა გოლად აქცია.

ამერელები არ დაიბნენ და ოთხ წუთში ბესიკ ჩიმაკაძემ გამთანაბრებელი გაიტანა. ამის შემდეგაც ბევრს უტევდნენ მასპინძლები, თუმცა პირველ ტაიმში მეტის გატანა ველარ მოახერხეს.

დაიწყო მეორე ნახევარი და ლადო ლაფერაშვილმა „ამერი“ დააწინაურა. ამის მერე კიდევ უფრო დიდ უპირატესობას დაეუფლნენ გიორგი ჩიხრაძის შეგირდები.

შეცვლაზე შესულმა ნოდარ ქებაძემ მატჩის მიწურულს დუბლი გაიფორმა და კახელები დიდი ანგარიშით დამარცხდნენ.

ერთიც გვინდა ვთქვათ: სამწლიანი პაუზის შემდეგ ფეხბურთს დაუბრუნდა ოთარ ვარამიშვილი.

**ლუკა თალაქვაძე**

საქართველოს მე-20 ეროვნული ჩემპიონატი ძალიან საინტერესოდ დაიწყო — ყველა ტურში გუნდები ბოლომდე იბრძვიან და მატჩებიც ძნელად პრონოზირებადია. აუტსაიდერად რომ მიიჩნევ, ლიდერს უგებს, ფავორიტი კი ქულებს ფლანგავს, რამაც ჩვენს ჩემპიონატს მეტი ინტერესი შესძინა. მეოთხე ტურში „ბორჯომმა“ შინ „გაგრას“ 3:2 მოუგო. გაგრელები დებიუტანტები არიან, თუმც საწყის ტურებში ლიდერებში გაერივნენ — ქვეყნის ჩემპიონ „დინამოსაც“ ძლიეს, მაგრამ „ბორჯომთან“ ვერაფერი გააწყეს. არადა, კურორტელებს ფინანსურად კატასტროფული მდგომარეობა აქვთ, თუმც მოედანზე გასულ ახალგაზრდა ბორჯომელებს ეს არ ეტყობათ. გუშინ „ბორჯომის“ თავკაც გიორგი სუხიაშვილს გავესაუბრეთ...



# უფულო უგულოს არ ნიშნავს

— ბედნიერი ვარ, რომ პირველი გამარჯვება მოვიპოვეთ, გუნდმა მაგრად იბრძოლა და ვფიქრობ, დამსახურებულად გავიმარჯვეთ. „გაგრას“ მწვრთნელმა ვლადიმერ ხაჩიძემ ნამატჩევს აღიარა, რომ „ბორჯომმა“ მოგება დაიმსახურა.

— მიუხედავად იმისა, რომ ბოლნისის „სიონი“ ახალ სეზონში გაძლიერდა და ფინანსურადაც კარგად არის, წინა ტურში მასაც არაფერი დაუთმეთ...

— სწორედ „სიონთან“ მიღწეულმა ფრემ შემატა ჩემს ფეხბურთელებს რწმენა და „გაგრასთან“ კიდევ უფრო მიზანდასახულად ითამაშეს. გამოჩნდა, რომ თუ იბრძოლებ და იმოძრავებ, ყველასთან შეიძლება შედეგის მიღწევა.

— როგორც ამბობენ, „ბორჯომი“, ფაქტობრივად, უფულოდ თამაშობს...

— სამწუხაროდ, ასეა, მწვრთნელ-ფეხბურთელები მომავლის იმედად ვართ, ყოველდღე გვპირდებიან და ჩვენც მოთმინებით ველოდებით. რამდენი წელია, ამ დღეში ვართ და არავისი ვალი არ დაუტოვებიათ. არა მგონია, ახლა დაგვაღალატონ.

— ფაქტობრივად, შეკრება არ გაგივლიათ და ყველა აუტსაიდერად მიგიჩნევთ. რა თქმა უნდა, თქვენი მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა...

— სამწუხაროდ, ქვეყანაში შექმნილმა საომარმა მდგომარეობამ საწვრთნელი პროცესი ჩაგვიშალა, ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირალა გვქონდა ვარჯიშის საშუალება. ეს, რა თქმა უნდა, ფეხბურთელებს პირველ მატჩებში ეტყობოდათ, მაგრამ ახლა ნელ-ნელა უკეთესობისკენ მიდის საქმე. ჩვენი მიზანი უმაღლესში დარჩენაა და ბოლომდე ვიბრძოლებთ.

— ოთხი ტური ჩატარდა, მაგრამ შეიმჩნევა, რომ გუნდები უფრო მეტი თავდადებით თამაშობენ, ყველა შეხვედრაში გააფთრებით იბრძვიან. ასეთი მატჩები ადრე სანთლით საძებარი იყო. როგორ ფიქრობთ, ეს რამ გამოიწვია?

— ჯერ ერთი, 11 გუნდი დარჩა სამ წრედ და კარგია, რომ ფავორიტებს ხშირად მოუწევთ ერთმანეთთან შეხლა, ანუ ქულებს ყველა მაქსიმალურად უფრთხილდება. ამ ჩემპიონატში გუნდები უფრო მეტს მოძრაობენ და გაცილებით სწრაფად, რაც წინა ჩემპიონატში მართლა სანატრელი იყო.

— ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარ მტრად ჩაწყობილი თამაშები მიიჩნევა. მე-20 ეროვნულში ჯერ საეჭვო თამაშები არ ყოფილა, ამაზე რას იტყვით?

— საქართველოს ჩემპიონატში ჩაწყობილი თამაშები უნდა დამთავრდეს. ყოველთვის ამის წინააღმდეგი ვიყავი და ვიქნები. მჯერა, რომ ამ სეზონში ასეთი მატჩები არ იქნება და და ბოლომდე მაგარი ბრძოლები გამოვა.

— ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტად რომელ გუნდს მიიჩნევთ?

— სანამ ჩემპიონატი დაიწყებოდა, ვამბობდი, რომ „ლოკომოტივი“ ძლიერად ითამაშებდა და ეს მართლდება კიდეც. „ზესტაფონი“, „დინამო“, „ვიტ ჯორჯია“, „ოლიმპი“ და „სიონიც“ ბოლომდე იბრძოლებენ. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ეს ჩემპიონატი ადრინდელებისგან დაძაბულობით გამოირჩევა. ბოლო ტურამდე დიდი ბრძოლა იქნება, რაც, რა თქმა უნდა, ჩვენს ფეხბურთს ძალიან წაადგება. მთავარია, ახლა კლუბებს ფინანსური დახმარება გაეწიოთ და შუა გზაში არ დარჩნენ.

# შინმოუსვლელნო, სადა ხართ?



**როდის დასრულდება პოლ კესანის საქმე, არ ვიცით, მაგრამ მისთვის კარგად რომ არ დასრულდება, ეს კი ნათელია. გუშინწინ და გუშინ უკვე დავწერეთ „ზესტაფონის" გაბონელი ფეხბურთელის უცნაურ საქციელზე, ახლა კი უფრო დეტალურად გაეცნობით, რა ხდება მის ირგვლივ და როდის უნდა ველოდოთ ფიფას განაჩენს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური სამდივნოს საერთო განყოფილების უფროს რევაზ შენგელიას გუშინ რომ ვესაუბრეთ, მარტო კესანს არ შევხებივართ. ასევე წყვდიადშია „ზესტაფონის" მეორე გაბონელის, ეტიენ ბიტოოს საკითხი, შენგელიამ ჩეხური „ბოლესლავის" გიორგი განუგრავას და „სიონიდან" „ზესტაფონში" გადასული კამერუნელი ერიკ რომეო ჩასემის საქმეებიც გაგვაცნო; ზოგადად სატრანსფერო სფეროზეც ვისაუბრეთ: შენგელია ის კაცია, ქართველი თუ აქ მოთამაშე ლეგიონერების ყველა ტრანსფერი მის ხელში რომ გადის... მაგრამ კესანი განსაკუთრებული შემთხვევაა და სწორედ აქედან დავიწყოთ...**

### კესანი და ბიტოო

— 8 ივლისს „ზესტაფონმა" გვაცნობა, რომ 13 მაისს მათთან მივიდა წერილი გაბონის ფეხბურთის ფედერაციიდან, რათა კესანი მუნდიალ 2010-ის შესარჩევი მატჩებისთვის გაეთავისუფლებინათ. „ზესტაფონი" ასეც მოიქცა, მაგრამ 18 ივნისს გაბონის ნაკრებს თამაშები დაუსრულდა, კესანი კი კლუბში არ დაბრუნდა. კესანთან ერთად გაბონში იყო ეტიენ ბიტოოც, ოღონდ ის ნაკრებში არ გახლდათ გამოძახებული, უბრალოდ, შვებულებაში იყო. არც ბიტოო დაბრუნებულა უკან, არადა, მასაც მოქმედი კონტრაქტი აქვს „ზესტაფონთან".

...10 ივლისს ჩვენ გაბონის ფედერაციას გავუგზავნეთ წერილი მოთხოვნით, გაერკვიათ ამ ორი ფეხბურთელის გაუჩინარების მიზეზი, თუმც მათგან არანაირი რეაქცია არ ყოფილა. „ზესტაფონთან" შეხება ჰქონდა მხოლოდ კესანის აგენტს, რომელიც თავს ასაღებს აგენტად, სინამდვილეში კი ფიფას ლიცენზირებულ აგენტთა შორის დარეგისტრირებული არ არის — ეს მე პირადად მითხრა „ზესტაფონის" იურისტმა ნიკა არსენიშვილმა.

...როცა არა და არ დაადგა საშველი გაბონელთა გამოჩენას, 12 სექტემბერს ფიფას გავუგზავნეთ დოკუმენტი, სადაც დავურთეთ ორივე გაბონელის „ზესტაფონთან" კონტრაქტები. ფიფამ გვაცნობა, რომ დოკუმენტები მიიღო და დაიწყება საქმის გამოძიება. 16 სექტემბერს ისრაელის ფეხბურთის ასოციაციიდან მოდის წერილი, სადაც ისინი ითხოვენ კესანის სატრანსფერო სერთიფიკატს. ცხადია, სერთიფიკატი ვერ გავეცი, რადგან კესანს მოქმედი კონტრაქტი აქვს „ზესტაფონთან". საერთოდ, თუ ტრანსფერთან დაკავშირებით პრობლემა არაა, ერთი კვირის ვადა გვაქვს სერთიფიკატის გასაგზავნად, აქ კი პრობლემა იყო. 30 სექტემბერს ისრაელის ფეხბურთის ასოციაციას გავუგზავნეთ წერილი, რომ სერთიფიკატს ვერანაირად ვერ გავცემდით. ფაქტია: ისრაელის კლუბი „ჰაპოელ კირიათ შმონა" რეგისტრაციაში ვერ გაატარებს კესანს. კონტრაქტიც რომ გაუფორმოს, უკვე სერიოზული სანქცია ელის კლუბს ფიფასგან.

— კი მაგრამ, „ჰაპოელში" ეს არ იციან? საკუთარ თავს ემტერებიან?

— არ ვიცი. გამოდის, კესანმა და მისმა აგენტმა მოატყუეს „ჰაპოელი" და უთხრეს, რომ „ზესტაფონთან" კონტრაქტი დამთავრებულია.

— კესანს უთქვამს, ზესტაფონში რასისტულ შეურაცხყოფას მაყენებდნენ და ამიტომ აღარ ვარ იქ ჩამსვლელიო. დიდი შანსია, ეს ფიფაშიც განაცხადოს...

— მაგრამ უნდა დაამტკიცოს, მასალები უნდა წარადგინოს. ასეთ შემთხვევაში ფიფა შესაბამის რეაქციას გააკეთებს, რადგან რასიზმს კბილებით ებრძვის. თუმცა ხომ ყველამ იცის, რომ კესანი ამ მასალებს ვერ წარადგენს, რადგან რასიზმისგან არ დაჩაგრულა საქართველოში.

— როდის უნდა ველოდოთ ფიფას განაჩენს კესანზე?

— აი, ეგ პრობლემატური საკითხია. ფიფაში გვეუბნებიან, უამრავი საქმე გვიდევს წინ და აუცილებლად თქვენსასაც გავარკვევთო. დროის ფაქტორია.

— კეთილი. ბიტოოს ტრანსფერის სერთიფიკატიც ხომ არ მოითხოვა რომელიმე ქვეყნის ფედერაციამ?

— არა, თუმც ფიფაში მასზეცაა საჩივარი შეტანილი.

### ბოლესლავი ზესტაფონს: განუგრავა კარგად ვერ გაგიზრდიათ...

— კარგა ხანია, „ზესტაფონი" ჩეხური „ბოლესლავისგან" გიორგი განუგრავას გადაყვანისთვის საკომპენსაციო თანხას ითხოვს. რა სტადიაშია ეს საქმე?

— განუგრავას საქმე ნათელი მაგალითია იმისა, რომ ფიფაში ასეთი საკითხების განხილვა ჭიანურდება. გეცოდინებათ, განუგრავას „ზესტაფონთან" კონტრაქტი დამთავრებული ჰქონდა, როცა „ბოლესლავმა" აიყვანა, მაგრამ იმერულ კლუბს ჩეხურისგან კომპენსაცია ეკუთვნის — 60 ათასი ევრო. როდესაც კლუბს აჰყავს ფეხბურთელი, რომელსაც 23 წელი წინამორბედ კლუბში შეუსრულდა, ამ წინამორბედს აღზრდისთვის კომპენსაციას უხდის. ამ შემთხვევაში „ბოლესლავმა" „ზესტაფონს" 60 ათასი იმიტომ უნდა გადაუხადოს, რომ განუგრავა იმერულ კლუბში ორი წელი თამაშობდა. და რატომ მაინცდამაინც 60 ათასი? ფიფას ოთხ კატეგორიად აქვს ჩემპიონატები დაყოფილი, მაგალითად, ინგლისი, იტალია, ესპანეთი და სხვა ძლიერები პირველ კატეგორიაში არიან, საქართველო კი მესამეშია. პირველი კატეგორიის ჩემპიონატიდან კომპენსაცია 90 ათასი ევროა, მეორედან — 60 ათასი, მესამედან — 30 ათასი, მეოთხედან — 10 ათასი. მარტივი ანგარიშია: „ბოლესლავმა" ორჯერ 30 ათასი უნდა მისცეს „ზესტაფონს", მაგრამ ჩეხურმა კლუბმა შემოთვალა, „ზესტაფონი" საკმარისი ხარისხით ვერ ავარჯიშებდა განუგრავას, ამ ფეხბურთელს ჩვენთან გადმოსვლისას არ ჰქონდა შესაბამისი დონე და ცოდნა, რათა მასში სრული კომპენსაცია გადაგვეხადა, ამიტომ მიზერულ 10 ათასს გადავიხდითო.

— ეს მისაღები ახსნაა? ასე ყველა კლუბი იტყვის, ფეხბურთელი ჩვენთან უვარჯიშებელი მოვიდაო...

— რა თქმა უნდა, „ბოლესლავის" განცხადება უაზროა.

— და ფიფა აჭიანურებს ამ საქმის განხილვას?

— ეს საქმე მარტიდან აქვს გადაცემული ფიფას. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ ფიფამ 23 მაისს ჩეხეთის ფეხბურთის ფედერაციას გაუგზავნა მოთხოვნა, რათა თავისი კლუბი, „ბოლესლავი" თანხის გადახდაში დაევალდებულებინა. ამის მიუხედავადაც, „ზესტაფონს" თანხა არ მიუღია. ყველა ქვეყნის ფედერაციას თავისი სანქციები აქვს. თუ „ბოლესლავმა" ეს 60 ათასი არ გადაიხადა, ან ჩემპიონატში ქულებს ჩამოაკლებენ, ანაც უმაღლესი ლიგიდან დააქვეითებენ... ეს უკვე ჩეხეთის ფეხბურთის ფედერაციაზეა დამოკიდებული.

### ჩასემი ლეო მესია?

*ეს მართლაც არაორდინალური საქმეა: „სიონი" „ზესტაფონს" ერიკ რომეო ჩასემის სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხას სთხოვს, ფეროელებიც თანახმანი იყვნენ გადახდაზე, მაგრამ ჩასემი ჩაერია — ჩემს ყოფილ კლუბს ფული არ ეკუთვნის, რაც მათ უნდა მისცეთ, მე მომეციითო.*

*რევაზ შენგელიამ დეტალურად აგვიხსნა, რაშიცაა საქმე...*

— ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, ჩვენს შიდა ჩემპიონატში ერთი გუნდიდან მეორეში ფეხბურთელის ტრანსფერის საკითხი ვერ გაგვერკვია და ფიფასთან დაგვეჭირა საქმე. მაგრამ აქ მართლაც ჩახლართული ამბავი გვაქვს: „ზესტაფონმა" ჩასემი რომ აიყვანა, „სიონისთვის" 20 ათასი დოლარი უნდა გადაეხადა კომპენსაცია, რადგან ჩვენთან, საქართველოში შიდა ტრანსფერებისას ფეხბურთელის აღზრდისთვის კომპენსაცია წლიურად 10 ათასი დოლარია. ასეა უმაღლეს ლიგაში. ჩასემმა კი ორი წელი ითამაშა ბოლნისურ კლუბში.

...თუმც კამერუნელმა წარმოადგინა საბუთი, რომელიც მისი ყოფილი კლუბის, კამერუნული „ბაჰამის" გენერალური მენეჯერის მიერაა დაწერილი და ბეჭედდარტყმული. კერძოდ, „ბაჰამი" ადასტურებს, რომ ჩასემმა, როგორც ფეხბურთელმა, ზრდა დაასრულა და ის უკვე ჩამოყალიბებული მოთამაშეა. არადა, კამერუნელს 23 წელი „სიონში" შეუსრულდა, ხოლო „ბაჰამიში" 2004-06 წლებში თამაშობდა. ამ საბუთის მიხედვით, „სიონს" არ ეკუთვნის კომპენსაცია, მაგრამ ფიფას არსად უწერია, ვინ ადგენს და რა კრიტერიუმით დგინდება ფეხბურთელის ზრდის დამთავრება-არდამთავრება. ასე ნებისმიერ კლუბს შეუძლია, ამა თუ იმ ფეხბურთელზე მოიწეროს, ზრდა დაასრულაო. მსგავსი საბუთები არავის სჭირდება, როცა ლეო მესიზე, კრიშტიანუ რონალდუზე ან ამგვარ ახალგაზრდა ვარსკვლავებზეა ლაპარაკი, მაგრამ ჰქონდა კი უფლება „ბაჰამის", რომ ჩასემზე გაეცა ზრდასრულობის ფურცელი? ამ საკითხზე ფიფას არაფერი უწერია, მსგავსი პუნქტი არ აქვთ.

ჩვენ მივწერეთ ფიფას 25 ივნისს და იმედია, გაგვარკვევენ, ეკუთვნის თუ არა „სიონს" კომპენსაცია.

### უბრალოდ, ტრანსფერებზე...

— საქართველოს ჩემპიონატში ხშირად ხვდებით ტრანსფერებისას ამგვარ გაუგებრობებს?

— ჩასემის მსგავსი შემთხვევა არ გვქონია. ისე, წელიწადში 20-25 საქმე მაინც გვაქვს-ხოლმე, რომელსაც 5-კაციანი კომისია განიხილავს, მათ შორის, მეც, იურისტებიც... ცხადია, წაგებული მხარე უკმაყოფილო რჩება, მაგრამ გართულებები არასოდეს ყოფილა.

— საქართველოში ერთი კლუბიდან მეორეში გადასვლისას წლიური კომპენსაციის ოდენობა თქვენ დააწესეთ თუ ფიფა ერევა?

— ჩვენი პრეროგატივაა. როგორც ვთქვი, უმაღლეს ლიგაში ეს კომპენსაცია წლიურად 10 ათასი დოლარია, პირველ ლიგაში — 5 ათასი. როდესაც კლუბს ბავშვთა სკოლიდან აჰყავს ფეხბურთელი, ამ სკოლას იმდენი ათასი დოლარი უნდა გადაუხადოს, რამდენი წელიც იქ ბავშვი იზრდებოდა. აბა, წარმოიდგინეთ, რომელ ქართულ უმაღლესლიგელ კლუბს აქვს იმის საშუალება, რომ კომპენსაციის სახით კონტრაქტდამთავრებულ ფეხბურთელს 100 ათასი და ან მეტი გადაუხადოს? ამდენს მოქმედკონტრაქტიან მოთამაშეებში ვერ იხდიან. ამიტომაც დავაწესეთ წლიური 10 ათასი, რათა რეალობაში ჯდებოდეს.

**ილია ნანოგაშვილი**

## სიმურგმა სამი ქართველი დაკარგა

**აზერბაიჯანის** ჩემპიონატის მე-7 ტურში ზაქათალის „სიმურგს" ევლახის „ქარვანთან" საშინაო მატჩში ქართველი ლეგიონერები — დავით ბოლქვაძე, მიხეილ მახვილაძე და კახა ჩხეტიანი ვერ დაეხმარებიან.

ბოლქვაძე „ქარვანთან" წინა ტურის შეხვედრაში გააძევეს და აზერბაიჯანის ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, ერთი მატჩითაა დისკვალიფიცირებული.

რაც შეეხება მახვილაძე-ჩხეტიანს — მათ ტრავმები აწუხებთ.

შეგახსენებთ: „სიმურგში" კიდევ ერთი ქართველი, გრიგოლ დოლიძე ირიცხება.

**კახა ზალამბერიძე**



## გოგიტა გოგუა ტრავმამ გაიხსენა

**გოგიტა გოგუას** ტრავმა აქვს და ამ უქმეებზე რუსეთის პრემიერლიგის ტურს გამოტოვებს — ნალჩიკის „სპარტაკს" ვერ დაეხმარება ლიდერ ყაზანის „რუბინთან".

ყაბარდოელთა ნახევარმცველს ფეხი დაუშავდა და „ლუჩ-ენერგიასთან" კვირას თამაშის შემდეგ არ უვარჯიშია. არ ვიცით, ეს იყო მიზეზი თუ არა, გოგუა საოქტომბრო სანაკრებო მატჩებისთვის გამოძახებული არაა.

**ილია ნანოგაშვილი**

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — I წრე. 4 ტური

სიონი 0:0 მესხეთი
ბორჯომი 3:2 გაგრა
ვიტ ჯორჯია 1:2 ლოკომოტივი
მგლები 2:0 სპარტაკი
დინამო 2:1 ოლიმპი
ზესტაფონი ისვენებდა



დინამოელები დონალდ ჯიუსის გოლს ხარობენ

# პარალელური გოლები

## გალიდერებულ ლოკომოტივს შარშანდელი აღარ ახსოვს

**წინა** სეზონში უმაღლესი ლიგიდან გავარდნას გადარჩენილი თბილისის „ლოკომოტივი" წლეულს აღარ ხუმრობს და აგერ, ცხრილის სათავეშიც ისე წამოსკუპებულა, მეზობლებზე ერთი მატჩით ნაკლები რომ უთამაშია.

ჩემპიონატის მეოთხე ტური, რომელიც შუა კვირაში გაიმართა, ორი ცენტრალური მატჩით იყო გამორჩეული და ორივე ერთნაირი ანგარიშით მორჩა — თბილისში „დინამო" რუსთაველ „ოლიმპს" გაუსწორდა, ხოლო გორში გადაბარგებული „ვიტ ჯორჯია" „ლოკომოტივთან" დამარცხდა.

ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი „ზესტაფონი" ამ ტურში უქმობდა.

წლევანდელი ჩემპიონატის სტრუქტურიდან გამომდინარე, ალბათ შეხსენება არ გჭირდებათ, რომ ყოველ ტურში ერთი გუნდი ისვენებს ხოლმე და როცა ცხრილს დახედავთ, ნულარ იკითხავთ, „ლოკომოტივი", „ზესტაფონი", „ოლიმპი" და „სპარტაკი" თამაშნაკლულები რატომ არიანო...

გორში კი აქამდე დაუმარცხებელი, ქულადაუკარგავი და ამასთან გოლგაუშვებელი გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. პროგნოზები უფრო „ვიტ ჯორჯიას" სასარგებლოდ ისმოდა, მაგრამ იქვე „ლოკომოტივის" „დინამოსთან" მოგებულ შეხვედრასაც ახსენებდნენ, თბილისელებმა ჩემპიონები დაამარცხეს და ემანდ მეორე ლიდერიც არ მიაყოლონო. მიაყოლეს!

თავის დროზე ლონდონური „ჩელსის" ფეხბურთელი რატი ალექსიძე კი მატჩიდან მატჩამდე ამტკიცებს, რომ მისი დრო ჯერ კიდევ არ წასულა და ეროვნულ გუნდშიც დამსახურებულად აქვს ადგილი. ამჯერად რატი დუბლით გამოირჩა და თავისი აქტივის გარდა გუნდის მონაგარიც შეავსო მორიგი სამი ქულით. ჩემპიონატს წაუგებელი ახლა უკვე მხოლოდ „ლოკომოტივი" შემორჩა. თუმცა კი საქართველოს ჩემპიონატში მობრუნებულმა მეკარე გიორგი ლომაიამ მშრალი სერიის გაგრძელება ველარ შეძლო, ცხადია, ისევე, როგორც „ვიტ ჯორჯიას" გრიგოლ ბედიაშვილმა...

არადა, პირობით მასპინძელთათვის თითქოს ყველაფერი კარგად აეწყო. მატჩი „ვიტ ჯორჯიას" კარნახით დაიწყო და თუ გოლის გატანა მალევე ვერ მოახერხა, ტაიმის ბოლოსკენ ეს მაინც შეძლო და შესვენებამდე სათამაშოს ფსიქოლოგიური უპირატესობაც დაურთო — ტაიმის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე ჯაბა ლიპარტიამ კარიდან გამოსული მეკარე დაინახა და ბურთიც მოხდენილად ჩასვა მის ზურგს უკან.

ლიპარტიამ გოლი ხომ გაიტანა და „ლოკომოტივისთვის" სანერვიულო ისეც არ დაუკლია. ეგაა, ბოლოსკენ დაილალა და ისეთი ეფექტური ველარ იყო, როგორც „ლოკომოტივის" გოლებამდე.

ასეც შეიძლება ითქვას: ვიდრე ლიპარტია ჯანზე იყო, „ვიტ ჯორჯიაც" ყოჩაღობდა, მოგვიანებით კი... რატი ალექსიძემ, ვისაც ერთი საგოლე მომენტი შესვენებამდეც ჰქონდა, ანგარიში მისი ძველი პარტნიორის პასით გაათანაბრა — ვიტალი დარასელიამ ფორვარდს ეფექტური პასი გაუკეთა, რაც რატიმ დაუფასა კიდეც. „ვიტ ჯორჯიას" მცველებს ალექსიძე რატომღაც უყურადღებოდ დაეტოვებინათ...

იგივე შეცდომა ვიტელებმა მატჩის ბოლოსაც დაუშვეს და თბილისელთა ცბიერმა ფორვარდმა მათ არც ეს აპატია — ალექსიძის ასისტენტობა ირაკლი ჩირიკაშვილმა იკისრა.

„ლოკომოტივმა" გაიხარა და დანარჩენს უკვე სატურნირო ცხრილი გეტყვით...

ქრონოლოგიურად რომ გავყვეთ, როცა გორში ალექსიძის გოლი „მწიფდებოდა", თბილისში „დინამო" გამარჯვების გოლს ზეიმობდა. 18 წლის დონალდ ჯიუსის თავურმა ჩემპიონებს „ოლიმპი" დაამარცხებინა და ეს ამბავი მატჩის დამთავრებამდე წუთით ადრე მოხდა. თბილისელთა თავკაცმა რაინერ ცობელმა გოლის გამტანი მაშინვე შეცვალა. როგორც თავად თქვა, დროის გაყვანის მიზნით... თანაც ჯიუსი ახალგაზრდაა და ასეთ მნიშვნელოვან გოლს შესაძლო იყო, ის მოედუნებინაო — დაამატა ცობელმა. ჯიუსის ნაცვლად „დინამოს" თავკაცმა მცველი ალეკო ინწკირველი ათამაშა და მატჩიც წარმატებით დაასრულა.

„ეროვნულზე" ძალიან საინტერესო თამაშს ველოდით, მაგრამ რაიმე განსაკუთრებული იქ არ მომხდარა. მომგებმა მოიგო, წაგებული „ოლიმპი" კი ისე უსუსურად გამოიყურებოდა, რომ მისმა თავკაცმა ხვიჩა ქასრაშვილმა თქვა, ჩემს გუნდს ასე ცუდად არასდროს უთამაშიაო.

„დინამოს" ბევრჯერ შეეძლო გოლის გატანა, თუმცა ჯიუსის თავურამდე არაფერი გამოსდიოდა. მართალია, მასპინძლები მათე ვაწაძემ დააწინაურა, მაგრამ გიორგი გაბიდაურის ულამაზესი გოლით თანაფარდობა მალევე აღდგა და თბილისელებს საქმის თავიდან დაწყება მოუხდათ. დიდიე ოვონოს კარს იშვიათად უტევდნენ რუსთაველები, თუმცა სახეირო ვერაფერი მიიღეს.

„ოლიმპი", რომელიც სეზონის წინ სერიოზულად გაძლიერდა და ერთი შეხედვით, სოლიდურ გუნდად უნდა ჩამოყალიბებულიყო, ჩემპიონატში ჯერაც მოუგებელია და უპირობო აუტსაიდერ „სპარტაკთან" ერთად ცხრილის ფსკერზეა, რაც ამ სეზონის მოულოდნელობაა.

ასევე მოულოდნელია მეორე ქვემოქართლული გუნდის — ბოლნისის „სიონის" მწირგოლიანობა. ბოლნისელებს რამდენიმე მაღალი დონის ფორვარდი ჰყავთ, მაგრამ გოლები არ ჩანს. „სიონმა" ოთხი მატჩი ჩაატარა და სულ ერთი გოლი იკმარა. მწვრთნელმა ოთარ კორღალიძემ კი ეს გასაჭირი ასე ახსნა, მოსამზადებელი შეკრება ასეთი შემადგენლობით არ გაგვივლია და ფეხბურთელები ერთმანეთთან კარგად შეთამაშებულები ვერ არიანო.

ამ ტურში ბოლნისელები შინ ახალციხის „მესხეთს" დაშორდნენ უგოლოდ და ცხრილის შუაში არიან.

პირველი მატჩი მოიგო „ბორჯომმა", ესეც გარკვეულწილად მოულოდნელ შედეგად შეგვიძლია ჩავთვალოთ, რადგანაც უმაღლესის დებიუტანტი, თუმცა სეზონის რიხით დამწყები „გაგრა" დაამარცხა. ამათ დაპირისპირებაში საინტერესო ისიც იყო, რომ „გაგრას" „ბორჯომის" ყოფილი მწვრთნელი ვლადიმერ ხაჩიძე თავკაცობს, ხოლო „ბორჯომს" — მისი ყოფილი თანაშემწე გიორგი სუხიაშვილი. ხეზე ბოლომდე ასვლა არ უნდა მესწავლებინაო, იქნებ გულის სიღრმეში ასეც თქვა ხაჩიძემ.

ტურის ერთი მატჩიც ზუგდიდში შედგა. „მგლებმა" „სპარტაკი" დაამარცხა, სტუმართა მწვრთნელმა კობა ჟორჟიკაშვილმა კი არბიტრ გიორგი კიკაჩეიშვილს კბილი გაჰკრა, არც პენალტი უნდა დაენიშნა და არც ჩვენი მეკარე გაეძევებინაო. პირველი გოლი მასპინძლებმა სწორედ პენალტით გაიტანეს და თან მსაჯს სტუმართა მეკარე გიგა იაშვილი გააფრთხილებინეს. მალე იაშვილმა საჯარიმოს გარეთ ხელით ითამაშა და მეორე ყვითლის გამო კიკაჩეიშვილმა ის გასახდელის გზას გაუყენა. ჟორჟიკაშვილიც ამით იყო უკმაყოფილო, თორემ მასპინძელთა გარჯა არ დაუკნინებია.

ისე, 21-ე წუთზე მეკარეს რომ გააძევებენ და თან 0:1 მეტოქის სასარგებლოდ არის, თამაშის გადარჩენა მეტისმეტად რთულია.

მოკლედ, აი ასეთი გამოდგა მეოთხე ტური.

გუნდები ნელ-ნელა უკეთ თამაშობენ, ნელ-ნელა ჩანს, ვისგან რას ველოდოთ და ვნახოთ... ვფიქრობთ, ძალიან საინტერესო ჩემპიონატი გველის...

**კობა ინასარიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 3 | 3 | 0 | 0 | 5:1 | 9 |
| ვიტ ჯორჯია | 4 | 3 | 0 | 1 | 5:2 | 9 |
| დინამო | 4 | 2 | 0 | 2 | 7:5 | 6 |
| მგლები | 4 | 2 | 0 | 2 | 6:4 | 6 |
| გაგრა | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| სიონი | 4 | 1 | 2 | 1 | 1:1 | 5 |
| მესხეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | 5 |
| ზესტაფონი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 4 |
| ბორჯომი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | 4 |
| ოლიმპი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| სპარტაკი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

### სიმბოლური ნაკრები

ჯაბა ლიპარტია — *ვიტ ჯორჯია*
რატი ალექსიძე — *ლოკომოტივი*
გიორგი მერებაშვილი — *დინამო*
ირაკლი კიკნაძე — *ბორჯომი*
გიორგი გულორდავა — *მგლები*
გიორგი გაბიდაური — *ოლიმპი*
ვიტალი დარასელია — *ლოკომოტივი*
დიმიტრი ლეკიშვილი — *მესხეთი*
დავით სვანიძე — *სიონი*
გიგა ბეჟვაია — *ვიტ ჯორჯია*
გიორგი სომხიშვილი — *მესხეთი*

### მეხუთე ტური

4 ოქტომბერი. შაბათი
გაგრა – სიონი
5 ოქტომბერი. კვირა
სპარტაკი – ბორჯომი
ზესტაფონი – დინამო
ლოკომოტივი – მგლები
ოლიმპი – ვიტ ჯორჯია
მესხეთი ისვენებს

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 4 - | ალექსიძე | ლოკომოტივი |
| 3 - | ზ. თოდუა | მგლები |
| | ვაწაძე | დინამო |



# შეხედეთ კრისს! უსმინეთ კრისს!

**კრიშტიანუ რონალდუ** დაუზარლად იმეორებს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედში“ თავს ბედნიერად გრძნობს, მაგრამ ინგლისელი მიმომხილველებს საპირისპიროს ეჭვი აქვთ: მისი „ბოდი ლენგვიჯი“, ანუ მოქმედებანი, სულ სხვას მიუთითებენო, წერენ ისინი.

დიახ, ინგლისში ეჭვი აქვთ, რომ მანჩესტერში დაბრუნებული კრისი თავს მარტო და უბედურად გრძნობს. აშკარაა, რომ ფიქრებით სულ სხვაგან არის — ასეთია დაკვირვებული ხალხის ვარაუდი.

და მართლაც, როგორ გინდა, დაივიწყო, რა გულმოდგინებით ცდილობდა პორტუგალიელი ვარსკვლავი „მანჩესტერიდან“ „რეალში“ გაქცევას მთელი ზაფხულის განმავლობაში. მან ყველაფერი იღონა, რაც მის ხელთ იყო, მაგრამ „იუნაიტედმა“ წარბი არ შეიხარა და საბოლოოდ გაიმარჯვა — სერ ალექს ფერგიუსონის სიჯიუტემ აღმართი მოხნა. ერთი სიტყვით, რონალდუ „იუნაიტედში“ დაბრუნდა და კლუბმაც მსოფლიოს ამცნო, პრობლემა ამოწურულია, ამიერიდან ყველაფერი ძველებურად იქნებაო, მაგრამ მართლა ასეა?

ჩემპიონთა ლიგაში „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და დანიური „ოლბორგის“ დაპირისპირების თვითმხილველებმა მოვლენები ცოტა სხვანაირად აღიქვეს. ინგლისული ჟურნალისტები, რომლებიც „მანჩესტერ იუნაიტედს“ მუდამ თან დაჰყვებიან, წერენ, რომ ადრე, ნებისმიერი მგზავრობისას, რონალდუ მოუსვენრობითა და მხიარულებით გამოირჩეოდა, ახლა კი ის თვითმფრინავში მარტო იჯდა და მთელი გზა ხმა არ ამოუღია. დანიის პატარა აეროპორტში ჩაფრენილი „იუნაიტედის“ ბიჭები ერთად შეგროვდნენ. ისინი ხუმრობდნენ და დამხვედრ ფანებს ავტოგრაფებს ურიგებდნენ, კრისი კი აქაც განცალკევებით იდგა. ერთი ხანი რომ გავიდა და საბარგო განყოფილებაში ჩანთები ჩამოატარეს, „მანჩესტერ იუნაიტედის“ კიდევ ერთმა პორტუგალიელმა მოთამაშემ, ნანიმ თანამემამულეს მიაკითხა და უხმო, წამო, ჩანთის რიგში ჩადექიო.

მოგეხსენებათ, ნებისმიერი მატჩის წინა საღამოს, იმ დროს, როდესაც მეორე დღეს ეს მატჩი უნდა დაიწყოს, სტუმარი გუნდი „იმ“ სტადიონზე მიდის და ვარჯიშობს. დანიაში, ტრადიციისამებრ, მანჩესტერელთა ასეთი ვარჯიშის პირველი თხუთმეტი წუთი პრესისთვის ღია იყო. რონალდო, რომელიც, ჩვეულებრივ, ამ თხუთმეტი წუთის განმავლობაში ფრიად ხალისობს, ამჯერად მოღუშული გახლდათ.

და რა მოხდა საკუთრივ შეხვედრისას? მოგეხსენებათ, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ 3:0 მოიგო და ამ შედეგიდან გამომდინარე ვინმეს შეკითხვის ასე დასმაც კი შეიძლება უცნაურად ეჩვენოს, მაგრამ ზემოხსენებულმა ინგლისელმა ჟურნალისტებმა შეამჩნიეს, რომ რონალდუს თანაგუნდელებთან თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში სიტყვა არ გაუცვლია. რასაკვირველია, იმას, რომ მას ხმა საერთოდ არავისთვის გაუცია, არავინ ამტკიცებს, მაგრამ ასე განსაჯეთ, ესეც რომ ვთქვათ, სიმართლისგან შორს არ ვიქნებით.

და ფანები? მანჩესტერელმა ფანებმა დანიაში ჩასასვლელად გვარიანი ფული გაიღეს და შეხვედრის განმავლობაში თავის გუნდს ფრიადაც გულშემატკივრობდნენ, მაგრამ რონალდუს სახელი არც ამჯერად უხსენებიათ. სადღაც გაქრა ის სიმღერები და მწყობრი შეძახილები, რომლებიც გასული სეზონების განმავლობაში ასე იპყრობდა „მანჩესტერის“ თამაშებზე მისული ნეიტრალური ხალხის ყურადღებას.

პრესკონფერენციაზე კი, რასაკვირველია, ყველაფერი დიპლომატიურად იყო.

„მანჩესტერში თავს ბედნიერად ვგრძნობ. სულ ორი კვირაა, რაც ტრავმის შემდეგ პირველი თამაში ჩავატარე და ჯერ საუკეთესო ფორმაში ვერ ვარ. გულშემატკივრისგან? რასაკვირველია, დაფასებას ვგრძნობ. საუკეთესო ურთიერთობები მაქვს კლუბშიც, ასე რომ, მინდა, მომავალშიც ყველაფერი ასე გაგრძელდეს“ — განაცხადა რონალდუმ.

და რა თქვა ამ ყველაფერზე სერ ალექსმა?

მან ბრძანა: „რონალდუ თამაშს თანდათანობით აუმჯობესებს. ვატყობ, რომ ის ყოველ მომდევნო შეხვედრაში უფრო მწვავეა. იგივე შევამჩნიე „ოლბორგთან“ მატჩშიც. მას რამდენიმე გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ ამის ნაცვლად ბერბატოვს შეუქმნა საგოლე მომენტები“.

**პაპუნა ძიძია**

# ბანდა პუტინის ქალაქიდან

## რუსული ფეხბურთით აღფრთოვანებას ნუ იჩქარებთ!

**ყურადღება! ყურადღება!**

არის ეჭვი, რომ სანკტ-პეტერბურგის „ზენიტს“ უეფას თასი ალალად არ მოუგია!

ინფორმაცია, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, გაზეთ „სანის“ შოტლანდიური ვერსიის 2 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა და იქ ნახევარფინალის ყიდვაზე აღარ არის ლაპარაკი. საქმე გაცილებით სერიოზულადაა! „ზენიტს“ ფინალიც უყიდია. ასახელებენ თანხასაც: 32 მილიონი გირვანქა!




კერძოდ კი, ისტორია ასეთია: ერთი ხნის წინ, ესპანეთში 20 რუსი აიყვანეს, რომელთა შორის ორი განსაკუთრებით გავლენიანი კრიმინალური ავტორიტეტი აღმოჩნდა და ფეხბურთის ამბავიც კუდად სწორედ მათ დაპატიმრებას მოჰყვა. ვიმეორებთ, ლაპარაკია სრულიად კონკრეტულ რიცხვებზე: 32 მილიონი გირვანქა — „სანის“ შოტლანდიური ვერსიის ცნობით, რუსებს უეფას თასის ყიდვაში ეს თანხა გადაუხდიათ! შეგახსენებთ, რომ ფინალი „ზენიტსა“ და „რეინჯერსს“ შორის მანჩესტერში, „ოლდ ტრეფორდზე“ გაიმართა, სადაც ვლადიმირ პუტინის მშობლიური ქალაქის გუნდმა გლაზგოელებს 2:0 მოუგო.

გაჩნდა აგრეთვე ეჭვი, რომ რუსებს ნაყიდი ჰქონდათ ნახევარფინალიც, რომელშიც „ზენიტმა“ მიუნხენის „ბაიერნს“ ორი შეხვედრის ჯამში 5:1 მოუგო.

ესპანური გაზეთ ABC-ს ვერსიით, ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ პოლიციამ მოისმინა ორი რუსი მაფიოზის სატელეფონო საუბარი, სადაც სიტყვა ფეხბურთს და თამაშების ჩაწყობასაც გადაწვდა.

უეფამ თავისი წილი გამოძიება წამოიწყო.

როგორც იცით, სახელდება რუსი კრიმინალების გვარ-სახელებიც: გენადი პეტროვი და ლეონიდ ხრისტოფოროვი. ესპანელ სამართალდამცავებს მათი ორი საუბარი ჩაუწერიათ, თუმცა, ჯერჯერობით ის, თუ კერძოდ რა მექანიზმით აწყობდნენ რუსი მაფიოზები თამაშებს, ცნობილი (ყოველ შემთხვევაში, ფართო საზოგადოებისთვის) არ არის.

გაზეთმა El Pais დაწერა, რომ განთქმულმა ესპანელმა მოსამართლემ ბალთასარ გარსონმა გამოძიებისთვის მასალები გერმანიის პროკურატურასაც გადაუგზავნა. ამბობენ, რომ ჩანაწერში, რომელიც ესპანურ პოლიციაში დევს, პეტროვი ამბობს, რომ მან გერმანულ გუნდს 50 მილიონი გადაუხადა, თუმცა ვალუტას არ აკონკრეტებს.

როგორც ირკვევა, ყველა აყვანილი პეტერბურგელია. რასაკვირველია, მათი აყვანის მთავარი მიზეზი ფეხბურთი არ ყოფილა. აქ ლაპარაკია ნარკოტიკებით და იარაღით ვაჭრობაზე, პროსტიტუციაზე, ფულის გათეთრებასა და სხვა მსხვილ დანაშაულზე.

მადრიდის პოლიციის წარმომადგენელმა ფეხბურთთან დაკავშირებული კომენტარისგან თავი შეიკავა.

უეფას კომუნიკაციათა დირექტორი უილიამ გაილარი: „ჩვენი წარმომადგენელი შეეცდება ესპანელ გამომძიებლებთან დაკავშირებას და მათგან ინფორმაციის მიღებას. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად აძლევს ესპანური კანონმდებლობა სამართალდამცავებს ინფორმაციის სხვებთან გაზიარების უფლებას“.

„რეინჯერსმა“ და „ბაიერნმა“ კომენტარს თავი აარიდეს.

**პაპუნა ძიძია**



# კორუფცია ფიფაში

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციის ყოფელი აღმასრულებელი დირექტორი დევიდ დევისი თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში FA Confidential, რომელიც, მართალია, ჯერჯერობით დახლზე არ გამოუტანიათ, მაგრამ „დეილი მეილში“ ფრაგმენტებად იბეჭდება, ერთ სკანდალურ-კორუფციულ ისტორიას იხსენებს.

ამბავი 2000 წლის მარტში მოხდარა. საკითხი მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლის გარკვევას ეხებოდა.

ერთი სიტყვით, ის დროა, როდესაც ფიფამ 2006 წლის მუნდიალის მასპინძელი უნდა დაასახელოს, ხოლო ინგლისს ამ საქმისთვის თავისი კანდიდატურა აქვს წამოყენებული. მოგეხსენებათ, ასეთ გადაწყვეტილებას ფიფა ტრადიციულად კენჭისყრით იღებს, ჰოდა, სწორედ ამის მოსაკვრახჭინებლად მივიდა ინგლისელთა დელეგაციასთან მავანი, ვის ვინაობასაც მისტერ დევისი მალავს. რა უნდოდა მავანს? მან ინგლისელებს ხმების ყიდვა შესთავაზა. ეს იყო ძალიან კონკრეტული წინადადება, რომლის სერიოზულობაში ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა.

„ეს იყო ადამიანი, რომელიც ფიფასა და საერთაშორისო საფეხბურთო წრეებთან მჭიდროდ გახლავთ დაკავშირებული“ — ასე აღწერს „მავანს“ დევისი, რომელიც მის შესახებ ამბობს, რომ ეს კაცი ინგლისელი არ არის და არც ფიფას აღმასკომის წევრია.

ხმების ყიდვასთან დაკავშირებული წინადადებით, კერძოდ, ფეხბურთის ასოციაციის მაშინდელი აღმასრულებელი შეფისთვის, ადამ კროიზერისთვის მიუმართავთ.

„ქრთამი, მოთაფვლა... როგორც გნებავთ, ისე უწოდეთ იმას, რაც მაშინ შემოგვთავაზეს. ჩვენ, ფეხბურთის ასოციაციის იმ წევრებმა, რომლებმაც მაშინ ეს ამბავი შევიტყვეთ, გაოცებისგან პირი დავაღეთ. ეს ჩვენი გზა არ იყო. ალბათ, ზოგი ქვეყანა ჩრდილოვან გზას ამჯობინებს, მაგრამ ჩვენ — არა.

მაშინ, მომხდარის შესახებ ფიფას ვაცნობეთ, მაგრამ დღემდე არ ვიცი, რა ბედი ეწია ამ ინფორმაციას. ვინმემ რაიმე ღონე იხმარა თუ არა“.

**პაპუნა ძიძია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წიგნომანია

## მატერაცის აღსარება და ზიდანის იდუმალი ცხოვრება

## პრეფერისკიო ლა პუტანა დელლა ტუა სორელლა და მეა კულპა



ფრანგული „ლე პოინტისა“ და იტალიური „გაძეტა დელლო სპორტის“ მიერ საგანგებოდ „სარბიელისთვის“ მოწოდებულ მასალებზე დაყრდნობით

მაია ჯიჯავა

რომიდან

**ბოლო წლებში, სპორტსმენებში, განსაკუთრებით კი ევროპელ ფეხბურთელებში მოდაში შემოვიდა საკუთარი ცხოვრების და საიდუმლოებების წიგნად გამჟღავნება. როგორც წესი, ავტობიოგრაფიებს ვარსკვლავების ნაცვლად ჟურნალისტები წერენ, ან ეხმარებიან მათი აზრების ფურცლებზე გადატანაში. მსგავსმა წიგნებმა დიდი ინტერესი გამოიწვია მკითხველში და სულ მცირე ხანში თითოეული მათგანი ნამდვილი ბესტსელერი გახდა. ბუნებრივია, მკითხველთა ასეთმა აქტიურობამ გამომცემელთა ყურადღებაც მიიპყრო და ცოტა ხანში ნამდვილი ნადირობა დაიწყო გამოცემების ექსკლუზიური უფლების მოსაპოვებლად...**

**იტალიაში** ავტობიოგრაფიების გამოცემაზე ლიცენზიის მოპოვება ყველაზე შეძლებულმა და მასშტაბურმა გამომცემლობა „მონდადორიმ“ შეძლო და ამჟამად, პრაქტიკულად ერთადერთი გამომცემლობაა, რომელსაც სპორტსმენთა ბიგრაფიული წიგნების დაბეჭდვა შეუძლია. „მონდადორის“ ასეთი ჰეგემონია, ალბათ, იმ ფაქტსაც უკავშირდება, რომ მისი მფლობელები აპენინების მოქმედი პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი და მისი ქალიშვილი მარინა არიან.

როგორც უკვე აღვნიშნე, საკუთარ ცხოვრებაზე წიგნების წერა უამრავმა სპორტსმენმა დაიწყო, განსაკუთრებით აქტიურები კი ფეხბურთელები აღმოჩნდნენ. ისინი არა მარტო წერენ ავტობიოგრაფიას, არამედ, ყოველწლიურად ანახლებენ ან სულაც ახალ წიგნს აქვეყნებენ. ამ მხრივ ყველაზე გამორჩეული „რომას“ ვარსკვლავი, იტალიური ფეხბურთის „თოჯინად“ შერაცხული ფრანჩესკო ტოტია. 2001 წლიდან მან 14 წიგნი გამოუშვა საკუთარ პერსონაზე და ეს მაშინ, როდესაც „ელ პუპონე“ ყველაზე უწიგნურ ფეხბურთელად არის მიჩნეული სამშობლოში. თუმცა ტოტიმ ეს ფაქტიც თავის სასარგებლოდ გამოიყენა და ხალხში მასზე შექმნილ ანეკდოტებს ჯერ თავი მოუყარა, შემდეგ თავადაც დაუმატა და გამოსაცემად „მონდადორში“ მიიტანა. წიგნმა ნამდვილი ბუმი გამოიწვია, ტოტიმ კი თვითკრიტიკისთვის დიდი აღტაცება დაიმსახურა.

ტოტის მაგალითი გადამდები გამოდგა იუვენტუსელი ალესანდრო დელ პიეროსთვის (4 გამოცემა), მილანელი ჯენარო გატუზოსთვის (3 გამოცემა), ფილიპო ინძაგისთვის, ანდრეა პირლოსთვის, პაოლო მალდინისთვის და ინტერელი მარკო მატერაცისთვის, ვისი წიგნიც სკანდალურად იქცა.

გეხსომებათ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიისა და საფრანგეთის ფინალის სკანდალური ეპიზოდი, როცა ზინედინ ზიდანმა ვარსკვლავური თავური დარტყმით დაანოკდაუნა იტალიელი მცველი. მაშინ ამ ფაქტის განხილვამ ლამის მსოფლიოს ჩემპიონატის მნიშვნელობაც კი დაჩრდილა. საფეხბურთო სამყარო ორად გაიყო: ზიდანისა და მატერაცის მომხრეებად, თუმცა ზიდანის მხარდამჭერები გაცილებით მეტნი იყვნენ. იტალიური საზოგადოება კი ამ ამბავმა გააერთიანა და ყველამ ერთად მატერაცი დაიცვა.

წარმოუდგენელია, მაგრამ ზიდანი-მატერაცის საქმე ლამის იტალია-საფრანგეთის დაპირისპირების მიზეზად იქცა. ეს ორი ქვეყანა ისედაც გამუდმებით ეჯიბრება ერთმანეთს და ამ კონკრეტული ფაქტის გამო მტყუან-მართლის გარკვევა თითქმის სახელმწიფო მნიშვნელობის ამბად გადაიქცა. ორივე ქვეყნის სპორტული თოქ-შოუები თავგანწირვით ცდილობდნენ საკუთარი თანამემამულის საქციელის გამართლებას. ამ ყველაფერს ისიც ამძაფრებდა, რომ თავის მხრივ, არც მატერაცი ამბობდა, რა უთხრა სინამდვილეში ზიდანს და არც ზიზუ აღიარებდა თავს დამნაშავედ.

ისედაც დაძაბული სიტუაცია კიდევ უფრო გაამძაფრა 2006 წლის ოქტომბერში მარკო მატერაცის სატირულმა წიგნმა სათაურით „249 სავარაუდო ფრაზა, რაც მისთვის შემეძლო მეთქვა“. წიგნის პრეზენტაციაზე „ინტერის“ მცველმა ირონიულად განაცხადა, რომ გვარიანად იხალისა და გაერთო ამ წიგნზე მუშაობისას, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ ამ 249 ფრაზაში არ უხსენებია ის ექვსი სიტყვა, რაც სინამდვილეში უთხრა ფრანგული ფეხბურთის გენიას.

მატერაცის იუმორმა, როგორც ჩანს, იტალიელებისგან განსხვავებით, სულაც არ გააცინა ფრანგი ჟურნალისტები, რომლებმაც ეს წიგნი შეურაცხყოფად მიიღეს და „თავხედური ნაჯღაპნი“ უწოდეს. ამის შემდეგ ზიდანი ერთ-ერთ პოპულარულ სპორტულ თოქ-შოუში მიიწვიეს, სადაც მან მთელ მსოფლიოს, მატერაცის გამოკლებით, საჯაროდ მოუხადა ბოდიში თავშეუკავებელი საქციელისთვის.

| 18:00 | 1087 | ჰამარბიუ-გრანიტასი(წყვ/კენტი) | 1.80 | 1.80 | | | | |
| 18:10 | 1088 | დრამენი(ნორ)-ბარსელონა(ესპ) | 18.00 | 20.00 | 1.01 | 9.47 | 1.00 | 1.00 |
| 18:10 | 1089 | დრამენი-ბარსელონა(ბურ) 59.5 | 1.70 | 1.70 | | | | |
| 18:10 | 1090 | დრამენი(9.5)-ბარსელონა(-9.5) | 1.70 | 1.70 | | | | |
| 18:10 | 1091 | დრამენი-ბარსელონა(წყვ/კენტი) | 1.80 | 1.80 | | | | |
| 18:30 | 1092 | ბოსნა(ბოსნია)-დუკასი(საბერძ) | 1.01 | 20.00 | 20.00 | 1.00 | 1.00 | 10.00 |
| 19:45 | 1096 | კოპერი(სლოვ)-ჩეხოვსკიე მედვედი(რუს) | 2.00 | 8.00 | 2.00 | 1.60 | 1.00 | 1.60 |
| 19:45 | 1097 | კოპერი-ჩეხოვსკიე მედვედი(ბურ) 55.5 | 1.70 | 1.70 | | | | |
| 19:45 | 1098 | კოპერი-ჩეხოვსკიე მედვედი(ლუწ/კენტი) | 1.80 | 1.80 | | | | |
| 19:45 | 1100 | კროაცია(ხორ)-ლიოვენი(გერ) | 1.30 | 10.00 | 4.20 | 1.15 | 1.00 | 2.95 |
| 19:45 | 1101 | კროაცია-ლიოვენი(ბურ) 56.5 | 1.70 | 1.70 | | | | |
| 19:45 | 1102 | კროაცია-ლიოვენი(წყვ/კენტი) | 1.80 | 1.80 | | | | |
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:30 | 1104 | ამიციტია(შვეიც)-ბრეგენცი(ავს) | 1.50 | 10.00 | 3.00 | 1.30 | 1.00 | 2.30 |
| 17:30 | 1105 | ამიციტია-ბრეგენცი(ბურ) 57.5 | 1.70 | 1.70 | | | | |
| 17:30 | 1106 | ამიციტია(-2.5)-ბრეგენცი(2.5) | 1.70 | 1.70 | | | | |
| 17:30 | 1107 | ამიციტია-ბრეგენცი(წყვ/კენტი) | 1.80 | 1.80 | | | | |
| 17:50 | 1108 | ხვენდბორგი(დან)-ციუდად რეალი(ესპ) | 6.50 | 11.00 | 1.15 | 4.08 | 1.00 | 1.04 |
| 17:50 | 1109 | ხვენდბორგი-ციუდად რეალი(ბურ) 60.5 | 1.70 | 1.70 | | | | |
| 17:50 | 1110 | ხვენდბორგი(-4.5)-ციუდად რეალი(4.5) | 1.70 | 1.70 | | | | |
| 17:50 | 1111 | ხვენდბორგი-ციუდად რეალი(წყვ/კენტი) | 1.80 | 1.80 | | | | |
| 19:00 | 1112 | შამბერი(საფრ)-ცელიე(სლოვ) | 1.60 | 8.50 | 2.50 | 1.34 | 1.00 | 1.93 |
| 19:00 | 1113 | შამბერი(საფრ)-ცელიე(სლოვ) 57.5 | 1.70 | 1.80 | | | | |
| 19:00 | 1114 | შამბერი(-1.5)-ცელიე(1.5) | 1.90 | 1.70 | | | | |
| 19:00 | 1115 | შამბერი-ცელიე(წყვ/კენტი) | 1.80 | 1.80 | | | | |
| 19:15 | 1116 | ვესპრემი(უნგრ)-ფლენსბურგი(გერ) | 1.60 | 9.50 | 2.50 | 1.36 | 1.00 | 1.97 |
| 19:15 | 1117 | ვესპრემი-ფლენსბურგი(ბურ) 57.5 | 1.70 | 1.70 | | | | |
| 19:15 | 1118 | ვესპრემი(-1.5)-ფლენსბურგი(1.5) | 1.80 | 1.70 | | | | |
| 19:15 | 1119 | ვესპრემი-ფლენსბურგი(წყვილი/კენტი) | 1.80 | 1.80 | | | | |
| 20:00 | 1120 | ადემარი(ესპ)-მონპელიე(საფრ) | 1.15 | 11.00 | 6.50 | 1.04 | 1.00 | 4.08 |
| 20:00 | 1121 | ადემარი-მონპელიე(ბურ) 62.5 | 1.70 | 1.70 | | | | |
| 20:00 | 1122 | ადემარი(-5.5)-მონპელიე(5.5) | 1.70 | 1.70 | | | | |
| 20:00 | 1123 | ადემარი-მონპელიე(წყვ/კენტი) | 1.80 | 1.80 | | | | |
| 21:00 | 1136 | ვისლა(პოლ)-ხვეგდე(უნგ) | 3.50 | 10.00 | 1.35 | 2.59 | 1.00 | 1.18 |
| 21:00 | 1137 | ვისლა-ხვეგდე(ბურ) 53.5 | 1.60 | 1.80 | | | | |
| 21:00 | 1138 | ვისლა(3.5)-ხვეგდე(-3.5) | 1.70 | 1.70 | | | | |
| 21:00 | 1139 | ვისლა-ხვეგდე(წყვ/კენტი) | 1.80 | 1.80 | | | | |
| 20:00 | 1140 | ჰაუკარი(ისლ)-ზაპოროჟიე(უკრ) | 1.90 | 9.00 | 2.10 | 1.56 | 1.00 | 1.70 |
| 20:00 | 1141 | ჰაუკარი-ზაპოროჟიე(ბურ) 56.5 | 1.70 | 1.70 | | | | |
| 20:00 | 1142 | ჰაუკარი(-1.5)-ზაპოროჟიე(1.5) | 2.00 | 1.60 | | | | |
| 20:00 | 1143 | ჰაუკარი-ზაპოროჟიე(წყვ/კენტი) | 1.80 | 1.80 | | | | |
| | | ხელბურთი. კაცები ავსტრიის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:00 | 1153 | შვარცი-კრემსი | 2.70 | 8.00 | 1.60 | 2.01 | 1.00 | 1.33 |
| 21:00 | 1154 | ტულნი-ვესტენდორფი | 1.25 | 10.00 | 4.40 | 1.11 | 1.00 | 3.05 |
| 21:30 | 1155 | ფოიერსი-ალპლა | 1.70 | 8.00 | 2.45 | 1.40 | 1.00 | 1.87 |
| 22:15 | 1156 | ლეობენი-ლინცი | 1.80 | 9.00 | 2.20 | 1.50 | 1.00 | 1.76 |
| | | ხელბურთი. კაცები გერმანიის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 3 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:30 | 1035 | ბალინგენი-ვეტცლარი | 1.55 | 7.00 | 2.85 | 1.26 | 1.00 | 2.02 |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 1157 | ლემგო-მაგდებურგი | 1.30 | 10.00 | 3.90 | 1.15 | 1.00 | 2.80 |
| 17:00 | 1158 | ნორდჰორნი-ესენი | 1.05 | 15.00 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 6.00 |
| 17:00 | 1159 | მინდენი-შტრალზუნდი | 1.25 | 11.00 | 4.30 | 1.12 | 1.00 | 3.09 |
| 21:00 | 1160 | გუმერსბახი-მელსუნგენი | 1.15 | 10.00 | 6.20 | 1.03 | 1.00 | 3.82 |
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 16:45 | 1038 | კილი-ჰამბურგი | 1.25 | 9.00 | 4.70 | 1.09 | 1.00 | 3.08 |
| 19:00 | 1041 | ფიუხსე-გროსვალშტადტი | 1.80 | 8.40 | 2.25 | 1.48 | 1.00 | 1.77 |
| | | ხელბურთი. კაცები ესპანეთის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:00 | 1161 | ვალიადოლიდი-ალმერია | 1.05 | 12.00 | 11.00 | 1.00 | 1.00 | 5.73 |
| | | ხელბურთი. კაცები დანიის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 3 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:30 | 1050 | აარჰუსი-ვიბორგი | 6.25 | 11.00 | 1.15 | 3.98 | 1.00 | 1.04 |
| 21:30 | 1053 | ჰოლსტებრო-მორსი | 1.15 | 12.00 | 6.00 | 1.04 | 1.00 | 4.00 |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 1056 | ორჰუსი-ააბ | 2.20 | 8.00 | 1.85 | 1.72 | 1.00 | 1.50 |
| 18:10 | 1059 | ნორდსიელანდი-ბიერინგბრო | 5.60 | 9.00 | 1.20 | 3.45 | 1.00 | 1.05 |
| | | ხელბურთი. კაცები ჩემპ ლიგა(რომ ტაიმში მეტი გოლი) | | | | | | |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 1203 | ჰამარბი-გრანიტასი | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |
| 18:00 | 1204 | დრამენი-ბარსელონა | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |
| 19:45 | 1205 | კოპერი-ჩეხოვსკიე მედვედი | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |
| 19:45 | 1206 | კროაცია-ლიოვენი | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:30 | 1207 | ამიციტია-ბრეგენცი | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |
| 17:50 | 1208 | ხვენდბორგი-ციუდად რეალი | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |
| 19:00 | 1209 | შამბერი-ცელიე | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |
| 19:15 | 1210 | ვესპრემი-ფლენსბურგი | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |
| 20:00 | 1211 | ადემარი-მონპელიე | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |
| 21:00 | 1212 | ვისლა-ხვეგდე | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |
| 20:00 | 1213 | ჰაუკარი-ზაპოროჟიე | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |
| | | რაგბი საფრანგეთი | | | | | | |
| | | 3 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:30 | 1169 | კასტრი-ტულუზი | 2.50 | 20.00 | 1.40 | 2.22 | 1.00 | 1.30 |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 14:30 | 1171 | ბრივე-მონ დე მარსანი | 1.17 | 25.00 | 4.40 | 1.11 | 1.00 | 3.74 |
| 14:30 | 1173 | ბაიონა-მონპელიე | 1.12 | 25.00 | 5.20 | 1.07 | 1.00 | 4.30 |
| 14:30 | 1175 | პერპინიანი-ტულონი | 1.20 | 22.00 | 4.20 | 1.13 | 1.00 | 3.52 |
| 14:30 | 1177 | ფრანსეზი-მონტობანი | 1.04 | 30.00 | 8.00 | 1.00 | 1.00 | 6.31 |
| 16:30 | 1179 | ბურგუანი-კლერმონი | 2.10 | 18.00 | 1.60 | 1.88 | 1.00 | 1.46 |
| 20:30 | 1181 | დაქსი-ბაიონი | 1.60 | 18.00 | 2.10 | 1.46 | 1.00 | 1.88 |



# ქართულ-აზერული პროექტი
## ნუგზარ კანდელაკის ბაქო თბილისში გრძელდება

გუშინ საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის მსურველ გუნდებს განაცხადების შეტანის ბოლო ვადა ჰქონდათ. ბოლო დღეს მანამდე დარეგისტრირებულ გუნდებს კიდევ ორი კლუბი დაემატა — თბილისის „მაკაბი" და ნტდ. ამ უკანასკნელის დაარსების შესახებ რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ხმები.

გუნდი აზერბაიჯანელმა ბიზნესმენმა დააარსა და მასში ქართველ კალათბურთელებთან ერთად, აზერბაიჯანის ნაკრების ოთხი კალათბურთელიც ითამაშებს. მთავარ მწვრთნელად ნუგზარ კანდელაკი დაინიშნა, რომელსაც თავის დროზე ბათუმის „ბასკო" გაუჩემპიონებია და ბაქოში უმუშავია, სადაც რამდენიმე სეზონი გაატარა და ვერცხლის მედლებიც მოიპოვა. სწორედ ნუგზარ კანდელაკს დავუკავშირდით გუშინ და ახალი გუნდის შესახებ მისგან გარკვეული ინფორმაცია მივიღეთ

— დღეს კალათბურთის ფედერაციაში შეიტანეთ ჩემპიონატში მონაწილეობის განაცხადი...

— დიახ, დღეს ბოლო დღე იყო და ჩვენმა კლუბმა თავისი სურვილი ოფიციალურად დაადასტურა. უკვე გადაწყდა, რომ ნტდ საქართველოს ჩემპიონატში ითამაშებს.

— მანამდე დუდუ დადიანის მემორიალია, ითამაშებთ ამ ტურნირზე?

— ვითამაშებთ. დღეს კენჭისყრა გაიმართა და ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა. ეს საბოლოო გადაწყვეტილებაა.

— საინტერესოა თქვენი გუნდის შემადგენლობა. ვიცით, რომ ქართველებთან ერთად აზერბაიჯანელებიც ითამაშებენ...

— ჩამოგითვლით ყველა იმ კალათბურთელს, რომელიც ნტდ-ს ღირსებას დაიცავს ამ სეზონში: ირაკლი კლდიაშვილი, მიხეილ ჩიტაშვილი, გიორგი მამაცაშვილი, ლადო სუხიშვილი, პლასიდე როდუმტა, ზაურ ფაშაევი, ანარ სარიევი, ფუად ნიფტალიევი და ტაირ ბაკშიევი.

— სხვა მოთამაშეების დამატებას აპირებთ?

— ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ ისე, ნამდვილად არ გამოვრიცხავ სხვა კალათბურთელიც დავიმატოთ. მიდის მოლაპარაკებები. როდესაც ყველაფერი დასრულდება, აუცილებლად გაიგებთ.

— პირველ რიგში, წინ დუდუ დადიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალია სათამაშო. რა გეგმებს უსახავთ თქვენს კლუბს?

— ეს შეჯიბრება ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, შესათამაშებლად უნდა გამოვიყენოთ. ახალი გუნდია და, აქედან გამომდინარე, ჯერ ტურნირის მოგებაზე ლაპარაკი უტოპიად მიმაჩნია.

— სრული შემადგენლობით რამდენიმე ვარჯიშის ჩატარება მოასწარით უკვე?

— ჯერჯერობით ორი ვარჯიში გვქონდა იმ შემადგენლობით, რომელიც წელან გაგაცანით. მემორიალამდე კიდევ არის რამდენიმე დღე და ამ პერიოდს მაქსიმალურად გამოვიყენებთ.

— აზერბაიჯანელმა მეპატრონემ კლუბს რა მიზანი დაუსახა საქართველოს ჩემპიონატში?

— ოქროს მედლებზე ლაპარაკი ნამდვილად არ ყოფილა. მე ერთი ვიცი, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ პლეი ოფში გასასვლელად. დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს. ვნახოთ, როგორ წარიმართება საქმეები.

— ნტდ ერთწლიანი პროექტია, თუ უფრო ფართომასშტაბიანი გეგმებია შედგენილი?

— ამის შესახებ კლუბის პრეზიდენტს უნდა გაესაუბროთ. არ ვიცი, რამდენად დიდია გეგმები. მე რაც მევალება, იმას გავაკეთებ. შევეცდები, ჩამოვაყალიბო ბრძოლისუნარიანი გუნდი და ვიბრძოლო თითოეულ შეხვედრაში.

**გიორგი არაბული**

# როკმა ბალტია ცინცაძით და სანიკიძით დაიწყო

**როკი 68:89 შიაულიაი**

**ესტონური** ტარტუს „როკისთვის" 2008-2009 წლების სეზონი ბალტიის თასის გათამაშებით დაიწყო და, სამწუხაროდ, მარცხიანი გამოდგა.

სამაგიეროდ, რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, „როკერთა" შემადგენლობაში ითამაშა ორმა ქართველმა კალათბურთელმა — გიორგი ცინცაძემ და ვიქტორ სანიკიძემ. ეს უკანასკნელი სულ ორიოდე დღეა, რაც ახალ გუნდს შეუერდა და მისი ოფიციალური დებიუტიც შედგა.



გიორგი ცინცაძე

გიორგი ცინცაძემ უკვე მესამე სეზონი დაიწყო ესტონურ გუნდში და ამ ხნის განმავლობაში კლუბის ერთ-ერთ ლიდერდაც იქცა, აქედან გამომდინარე, არაა გასაკვირი, რომ ის სასტარტო ხუთეულში იყო, მხოლოდ მას შემდეგ დატოვა მოედანი, რაც ხუთი პერსონალური შენიშვნა მიიღო.

ამ დღეს „ბუს" ერთიც ჰქონდა სასაყვედურო, ამჯერადაც ბევრჯერ დაკარგა ბურთი. საერთოდ, ბოლო პერიოდში ეს ხშირად ემართება. გავიხსენოთ რამდენიმე დღის წინანდელი, „ქალგირისთან" გამართული მატჩი და 12 ბურთის დაკარგვა. სხვა მხრივ, გიორგი ცინცაძე საკმაოდ ნორმალურად გაისარჯა და გამარჯვებითვის ბევრიც გააკეთა, თუმც საკმარისი არ აღმოჩნდა.



ვიქტორ სანიკიძე

რაც შეეხება ვიქტორ სანიკიძეს, მან დებიუტანტისა და თანაც ნამგზავრი კაცის კვალობაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ჯერ იყო და რამდენიმე დღის წინ ჩავიდა ესტონეთში, შემდეგ კი უკვე ლატვიაში გადავიდა და „შიაულიაის" წინააღმდეგ ითამაშა.

გიორგი ცინცაძე: 30 წუთი, 15 ქულა, 4 მოხსნა, 8 პასი, 2 ჩაჭრა, 7 დაკარგვა, 5 პერსონალური შენიშვნა, 5-დან 1 ორქულიანი, 5-დან 3 სამქულიანი, 6-დან 4 საჯარიმო.

ვიქტორ სანიკიძე: 15 წთ, 7 ქ, 3 მ, 1 პ, 1 ჩაჭ. 3-დან 2 ორქულიანი, 1-დან 1 სამქულიანი.

**გიორგი არაბული**

# დუდუ დადიანს მეშვიდედ გაიხსენებენ

საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში გაიმართა დუდუ დადიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირის კენჭისყრა, ასევე შედგა თამაშების განრიგი.

გათამაშებაში მონაწილეობას შვიდი გუნდი მიიღებს, რომლებიც ორ ქვეჯგუფში არიან გადანაწილებულები. ტურნირი 7 ოქტომბერს დაიწყება და 10 ოქტომბერს დასრულდება.

ამ სამდღიან შეჯიბრებას რუსთავის საკალათბურთო დარბაზი უმასპინძლებს. წლევანდელი დადიანის მემორიალი მეშვიდე გათამაშებაა და როგორც წესი, ქართული კალათბურთის სეზონი ამ ტურნირით იწყება. ქვემოთ შემოგთავაზებთ წინა ექვსი ფინალური შეხვედრის შედეგს.



**A ჯგუფი:**
სსუ
ავიამშენი
მაქაბი

**B ჯგუფი:**
დინამო
ენერჯი-ინვესტი
თსუ
ნტდ თბილისი

**7 ოქტომბერი**
13.00 ავიამშენი — მაქაბი
15.00 დინამო — ნტდ თბილისი
17.00 ენერჯი-ინვესტი — თსუ

**8 ოქტომბერი**
13.00 მაქაბი — სსუ
15.00 თსუ — ნტდ თბილისი
17.00 ენერჯი-ინვესტი — დინამო

**9 ოქტომბერი**
13.00 სსუ — ავიამშენი
15.00 თსუ — დინამო
17.00 ენერჯი-ინვესტი — ნტდ თბილისი

**10 ოქტომბერი**
13.00 მე-5 ადგილისთვის
15.00 მე-3 ადგილისთვის
17.00 ფინალი

**დუდუ დადიანის ხსოვნის ტურნირის ყველა ფინალი**

2002
დინამო 95:63 თსუ
2003
სტუ-ჯეოსელი 87:76 დინამო
2004
სტუ-ჯეოსელი 111:102 დინამო
2005
ავიამშენი 88:77 თსუ-ნიკორა
2006
ენერჯი-ინვესტი 85:69 ავიამშენი
2007
ენერჯი-ინვესტი 88:66 ვითა

ფრენბურთი


ნინო მღებრიშვილი და ლევან ახვლედიანი

# პირველი ყოველთვის ძნელია

**საქართველოს ქალ ფრენბურთელთა ნაკრები რომ მსოფლიოს 2010 წლის შესარჩევ ეტაპზე პირველად ითამაშებს, უკვე ვწერდით. გუშინ კი ამასთან დაკავშირებით, სპორტის დეპარტამენტში პრესკონფერენცია გაიმართა. ჟურნალისტებს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ახვლედიანი, ნაკრების მთავარი მწვრთნელი ნინო მღებრიშვილი და ნაკრების მოთამაშეები: ნელი დათუკაშვილი (კაპ), ნინო მუყარაშვილი, ნათია ბანძელაძე და სოფო ჭეიშვილი ესაუბრნენ...**

**ლევან ახვლედიანი:** მსოფლიოს შესარჩევში 214 ქვეყანა ითამაშებს. ასეთი რაოდენობა არასდროს ყოფილა. მსოფლიოს ჩემპიონატის მიმართაც ძალიან დიდი ინტერესია. საბოლოოდ ფინალურ ეტაპზე 24 ნაკრები ითამაშებს.

რაც შეეხება ჩვენს ჯგუფს, მოლდოვას კარგად ვიცნობთ. ორი წლის წინ მოვუგეთ თბილისში, არადა, სუსტი მეტოქე სულაც არ არის.

ჯგუფიდან გამარჯვებული გადის, მაგრამ, ვფიქრობ, გვაქვს შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი. ახლა მიმდინარეობს მუშაობა და შეირჩევა ქვეყანა, სადაც ჩვენი ჯგუფის თამაშები ჩატარდება. როდესაც ეს დეტალები დაზუსტდება, მაშინ გავარკვევთ ნაკრების მომზადების დაწყების თარიღს. ნაკრები, ძირითადად, ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული. თურქეთში გვყავს ორი ლეგიონერი. ამ ნაკრებს აქვს პოტენციალი და შანსიც გვაქვს. გვინდა, რომ საქა და რთველოც დავიხმაროთ, თუმც ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, როდის მოგვიწევს თამაში. ჩვენთვის მისაღები ვარიანტი იანვარია, ამ დროს საქა — რთველოს მსოფლიოს ტურებზე თამაში არ უწევთ. თუ ქრისტინა და ანდრეზა დაგვეხმარებიან, ეს დიდი ძალა იქნება.

**ნინო მღებრიშვილი:** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში თამაში ჩვენთვის დიდი პატივია. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მომდევნო ეტაპზე გავიდეთ. რაც მთავარია, ყველა თამაშში ნაკრები ბოლომდე უნდა დაიხარჯოს.

იმედია, მოგვეცემა საშუალება, რომ სრულფასოვანი მზადება გავიაროთ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

**ნელი დათუკაშვილი:** უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობთ. მაქსიმალურად დავიხარჯებით სასურველი შედეგის მისაღებად.

აქვე გეტყვით, რომ თუ საქართველოს ნაკრები ჯგუფურ ეტაპს გადალახავს, მაშინ მომდევნო მეტოქეებად ჩეხეთი, ბულგარეთი, ალბანეთი და რუმნიეთი ეყოლებათ. ჯგუფურ ეტაპს ჩეხეთი უმასპინძლებს, ხოლო ჯგუფიდან სამი საუკეთესო ნაკრები გავა, ოღონდ, ისიც ვთქვათ, რომ აქ გაცილებით ძლიერი ნაკრებები გველის.

**ლექსო მაისურაძე**


საქართველო კალათბურთის ფედერაცია აცხადებს მიღებას მსაჯთა მომზადების კურსებზე. მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ მისამართზე:
ჭავჭავაძის გამზირი 49ა. ტელეფონი: 91 33 54


2008 წლის 15 ოქტომბერს, 12 საათზე, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ტარდება საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა.

დელეგატთა რეგისტრაცია დაიწყება 11 საათზე.

პრეზიდენტობის კანდიდატთა განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2008 წლის 10 ოქტომბერი.

ჩოგბურთი

# ჩვენი ქალების მერვედფინალები
## ორი სოფოდან ერთი ჩაიჭრა


სოფო ქვაცაბაია

**ანა ტატიშვილმა** აშშ-ის ქალაქ ტროიაში დაწყებულ 50 ათას დოლარიან ტურნირზე მერვედფინალში თამაშის უფლება უკრაინელი ტატიანა ლუჟანსკას დამარცხების შემდეგ მოიპოვა.

უკრაინელი მეჩოგნე ტურნირზე მე-7 ნომრად იყო განთესილი. ტატიშვილი მას სამ სეტში მოერია — 6:2 3:6 6:2.

მერვედფინალში ქართველ ჩოგბურთელს სლოვენიელ პეტრა რამპრესთან თამაში ელის. რამპრემ ძირითად ბადეს საკვალიფიკაციო ეტაპიდან მიაღწია. მან პირველ რაუნდში მასპინძელი კოუტსი დაჯაბნა 4:6 6:2 6:3.

სოფო ქვაცაბაია კი ჯერჯერობით ესპანეთში, ლეს ფრანკუესეს დელ ვალეს საერთაშორისო ტურნირზეა დაუმარცხებელი. ძირითადი ბადის პირველ მატჩში სოფომ მასპინძელი მირელა რეკასენს-პორტა ორ სეტში გაანადგურა — 6:1 6:2.

მერვედფინალში ქვაცაბაიას რთული გამოცდის ჩაბარება მოუწევს. იგი მე-2 ნომრად განთესილ იტალიელ ელისა ბალსაროს ხვდება. ესპანური ტურნირის საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარია.

სოფო შაფათავამ ტაშკენტში მსოფლიოს საჩოგბურთო ასოციაციის (WTA) ეგიდით მიმდინარე ტურნირის მერვედფინალი ვერ დაძლია.

შაფათავამ პოლონელ ურსულა რადვანსკასთან წააგო — 5:7 2:6. უზბეკური ტურნირის საპრიზო ფონდი 145 ათას აშშ დოლარს შეადგენს.

**ზურაბ მიგრიაული**

ოლიმპიზმი

# მრთადმრთი ვარდოსანიძის ორიდან ორი


„ჩემპიონი“

**ხუთივე** კონტინენტის 60-ზე მეტმა სკულპტორმა მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ორგანიზებულ კონკურსში „ხელოვნება და სპორტი“, რომელიც ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება.

2008 წლის კონკურსში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ცნობილი ქართველი მოქანდაკის ლევან ვარდოსანიძის ნამუშევარმა „ჩემპიონი“.

ლევან ვარდოსანიძე ერთადერთი სკულპტორია მსოფლიოში, რომელმაც სოკ-ის ანალოგიურ კონკურსში ორჯერ მიიღო მონაწილეობა და ორივეჯერ მისი ნამუშევარი გამოირჩა — 2002 წელს „ბეისბოლისტმა“ ვერცხლის მედალი მოიპოვა. ორთავე ქანდაკებამ „ბეისბოლისტმა“ და „ჩემპიონმა“ უკვე ბინა ლოზანაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მუზეუმში დაიდო.

ლევან ვარდოსანიძე რამდენიმე დღის წინ სპეციალური მიწვევით იმყოფებოდა კორეის ქალაქ ბუსანში, სადაც მსოფლიო ფორუმის „სპორტი, განათლება და კულტურა“ ფარგლებში მოხდა მისი დაჯილდოება.

ჭადრაკი

# ლელა ჯავახიშვილი კაცებთან თანაბარია



**ბოსნიის** ქალაქ ბანია-ლუკაში მიმდინარეობს კაცთა საჭადრაკო საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ერთადერთი ქალი მონაწილეობს, საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრი ლელა ჯავახიშვილი.

ტურნირზე სულ ათი მოჭიდავე გამოდის. ესენი არიან: ვოლკოვი (რუსეთი,) კორჩნოი (შვეიცარია), გოპალი (ინდოეთი), ილინჩიჩი (სერბეთი), ჰებერკა (პოლონეთი), დრაშკო (ჩერნოგორია), ვუკიჩი (სერბეთი), იაკოვლევიჩი (ბოსნია) და ლელა ჯავახიშვილი.

უკვე სამი ტური მიიწურა და ქართველმა მოჭადრაკემ სამივეში ფრე ითამაშა. პირველ შეხვედრაში ჯავახიშვილი ილინჩიჩს დაუპირისპირდა. მეორე ტურში ჩვენებური შავი ფიგურებით იყო შვეიცარიელი კორჩნოის წინააღმდეგ, ხოლო მესამე ტურში ჯავახიშვილმა ბოსნიელ ალექსანდრ სავანოვიჩთან მიაღწია ფრეს.

ტურნირზე ერთპიროვნული ლიდერი ინდოელი გეტა გოპალია. მას სამივე პარტია მოიგო. ჯავახიშვილი კი სხვა მონაწილეებთან ერთად მეოთხე-მეექვსე ადგილებს იყოფს.

**ზურაბ მიგრიაული**

მძლეოსნობა

# სანეევის ტესტები ეროვნულზე

**დღეს** ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე 12 საათიდან ვიქტორ სანეევის სახელობის ტურნირი გაიმართება სამმაგ ხტომაში.

შეჯიბრება როგორც კაცებს, ასევე ქალებს შორის ჩატარდება. ტურნირში საქართველოს რამდენიმე რეგიონის (თბილისი, ქუთაისი, ახმეტა და ბათუმი) 15-მდე მძლეოსანი მონაწილეობს.

დაწესებულია ფულადი პრემიებიც. პირველ ადგილზე გასული მძლეოსანი 500 ლარს მიიღებს, მეორეადგილოსანი — 400 ლარს, ხოლო ბრინჯაოს მედლის მფლობელი — 300 ლარს.

**ზურაბ მიგრიაული**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნჰლ ევროპით იწყებს

**ნჰლ-ის მორიგი, რიგით 91-ე სეზონი ოფიციალურად 9 ოქტომბერს გაიხსნება. მაგრამ ლიგა აგრძელებს შარშან დაწყებულ ექსპერიმენტს და ჩემპიონატის რამდენიმე თამაშის ჩატარებას ევროპაში, კერძოდ კი პრაღასა და სტოქჰოლმში გეგმავს.**

**ამის გამო ურიგო არ იქნება, თვალი გადავავლოთ ზაფხულში გუნდებში მომხდალ ცვლილებებს და ერთი-ორი სიტყვით მიმოვიხილოთ, თუ რა იმედებითა და მიზნებით ხვდებიან ისინი ჩემპიონატს. დღეს აღმოსავლეთ კონფერენციაზე ვისაუბრებთ**



სიდნი კროსბი

## ატლანტიკის დივიზიონი

### ნიუ ჯერსი დევილზი

„ეშმაკებმა“ ფაქტობრივად მთლიანად შეინარჩუნეს შემადგენლობა და თან წინა ხაზი ორი ვეტერანის — ბრაიან როლსტონისა და ბობი ჰოლიკის დამატებით გააძლიერეს. სწორედ ამის გამო „ნიუ ჯერსი“ ამ სეზონშიც პლეი ოფში გასვლის ერთ-ერთი ურეალურესი პრეტენდენტი იქნება და ცოტა თუ გაუმართლა, ევებ დივიზიონის მოგებაც შეძლოს. თანაც სანამ მეკარე მარტინ ბროდო ჯანზეა და თამაშის ძალა ერჩის, საეჭვოა, გუნდს ჩავარდნა დაეწყოს.

### ნიუ იორკ აილენდერსი

„კუნძულელებს“ საკმაოდ რთული სეზონი ელით, რადგანაც ისინი ყველანაირი კუთხით კონფერენციის ერთ-ერთ უმთავრეს აუტსაიდერებად მიიჩნევიან. თან გუნდი არც ზაფხულში გაძლიერებულა.

### ნიუ იორკ რეინჯერსი

„რეინჯერებმა“ ისევ გვარიანად გადაასხვაფერს შემადგენლობა. გუნდი დატოვეს ქარიზმატულმა ლიდერებმა — იარომირ იაგრმა და ბრენდან შენაჰანმა. სამაგიეროდ „მედისონ სქუერ გარდენში“ წლეულს ითამაშებენ „ვანკუვერის“ ექს-კაპიტანი მარკუს ნესლუნდი და ნიჭიერი, მაგრამ ცოტა თავნება ნიკოლაი ჟერდევი.

თუმც ზუსტად ვერავინ იტყვის, რომ ეს ვარსკვლავები ერთად თამაშს შეძლებენ. ასე რომ, ტომ რენის ხეირიანი გუნდის ჩამოსაყალიბებლად გვარიანი წვალება მოუწევს.

### ფილადელფია ფლაიერზი

„ფილადელფიას“ დამდეგი სეზონის წინ ბევრი კონფერენციის უმთავრეს ფავორიტთა შორის განიხილავს. კარგა ხანია „მფრინავებს“ ასეთი გამართული შემადგენლობა არ ჰყოლიათ. ერთი შეხედვით, მათ პრობლემები არც ერთ რგოლში არ აქვთ — შეტევას მაიკ რიჩარდსი და ჯეფ კარტერი უძღვებიან. ამას დანიელ ბრიარი და გამოჯანმრთელებული სიმონ განიეც დაამატეთ, რაც გუნდს ძალიან სოლიდურ წინა ხაზს მისცემს. დაცვას კიმო ტიმონენი მეთაურობს. მარტინ ბირონმა კი შარშან დაამტკიცა, რომ ნჰლ-ის სამეკარეო ელიტაში ადგილს იმსახურებს.

### პიტსბურგ პინგვინზი

არც ერთ სხვა გუნდს არ დაუკარგავს ამ ზაფხულს იმდენი, რამდენიც „პიტსბურგს“ — გუნდიდან ჰოკეისტთა მთელი წყება წავიდა. პლუს ახლახანს გაირკვა, რომ „პინგვინებს“ თითქმის მთელი რეგულარულის განმავლობაში არ ეყოლება წამყვანი მცველი სერგეი გონჩარი.

თუმც სანამ „პიტსბურგს“ ჯანზე ჰყავს ახალგაზრდა ვარსკვლავების სუპერ-ტრიო — სიდნი კროსბი, ევგენი მალკინი და ჯორდან სტაალი, გუნდი ფავორიტთა რიგებში დარჩენას მაინც მოახერხებს.

## ჩრდილო-აღმოსავლეთ დივიზიონი

### ბოსტონ ბრუინზი

„დათვები“ შარშან ნელ-ნელა გაუთავისდნენ კლოდ ჟულიენის დაცვით სტილს და წესით, წლეულს სერიოზულ ძალად უნდა იქცნენ. გუნდში ბევრი ცვლილება არ მომხდარა, რაც დადებითი მოვლენა უფროა.

### ბუფალო სეიბრზი

აშკარად ჩაგდებული შარშანდელი სეზონის შემდეგ „ხმლებისგან“ ისევ მათთვის ჩვეულ სწრაფ და შემტევ ჰოკეის ელიან. დერეკ როიმ და ჯეისონ პომინვილმა შარშანაც უმაღლეს დონეზე ითამაშეს და მათგან წლეულსაც იგივეს მოელიან. ხოლო თუ ამ დუეტს ტომაშ ვანეკი და მაქსიმ აფინოგენოვიც აყვნენ, მაშინ „ბუფალოს“ ნებისმიერი უნდა უფრთხილდეს.

### მონრეალ კანადიენსი

ბოლო 15 წლის განმავლობაში პირველად, „მონრეალი“ ჩემპიონატს ფავორიტის რანგში ხვდება. გუნდი არა მარტო დივიზონის, არამედ მთლიანად კონფერენციის მოგების უმთავრეს პრეტენდენტად განიხილება.

თანაც წლეულს „მონრეალი“ ასი წლის იუბილეს აღნიშნავს, რის გამოც გუნდი არა მარტო ჩემპიონატზე, არამედ სტენლის თასზეა დაგეშილია. სწორედ ამის გამო გენერალურმა მენეჯერმა ბობ გეინიმ სცადა შემადგენლობის გაძლიერება და თავად მატს სუნდინსაც წაეპოტინა. მაგრამ რადგანაც შვედმა ფეხი ითრია, გეინიმ გუნდი ალექს ტანგეთი და რობერტ ლანგით გააძლიერა.

### ოტავა სენატორზი

გრძელდება არეულობა „ოტავაში“. გუნდს სერიოზული პრობლემები აქვს შემადგენლობის მხრივ. განსაკუთრებით ეს დაცვას ეხება — სულ რაღაც სამი წლის წინ „სენატორებს“ ლიგის საუკეთესო უკანა ხაზი ჰყავდათ, დღესდღეობით კი მათ ერთი ხეირიანი შემტევი მცველიც არ მოეძებნებათ. დალხენილი მდგომარეობა არც შეტევაშია, სადაც მხოლოდ ერთი სამეული — დენი ჰიტლი-ჯეისონ სპეცა-დანიელ ალფრედსონი გამოირჩევა. მხოლოდ ამით ფონს გასვლა კი ძალიან ძნელია, რის გამოც ბოლო 10 წელიწადში პირველად, შეიძლება „ოტავა“ პლეი ოფს გარეთ დარჩეს.

### ტორონტო მეიპლ ლივზი

ყველაზე გაურკვეველი მდგომარეობა ალბათ მაინც „ტორონტოშია“ გუნდმა ზაფხულში ფაქტობრივად ძალით მოიცილა თავიდან ყველა მაღალანაზღაურებადი ჰოკეისტი, თუმც მათი შემცვლელები თითქმის არ მოუყვანია. ამას დაამატეთ არეულობა გუნდის ხელმძღვანელობაში — მფლობელებს ვერაფრით მოუძებნიათ გენერალური მენეჯერი, რის გამოც „მეიპლ ლივზის“ სათაო ოფისში სრული ქაოსი სუფევს.

ამ პირობებში კი ძნელია, გუნდს რამე მოსთხოვო.

## სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონი

### ატლანტა ტრეშერზი

„ატლანტაში“ ხელახლა შენების პროცესია დაწყებული, რაც იმას ნიშნავს, რომ წლეულს ჯორჯიელებისგან ხეირიანს არაფერს არ უნდა ველოდოთ. თანაც გაზაფხულზე მარიან ჰოსას წასვლით დარჩენილი სიცარიელი მენეჯმენტმა ვერაფრით ამოავსო. რაღაა სათქმელი, თუ ზაფხულის უმთავრეს შენაძენად ვეტერანი მცველის, 39 წლის მეტიუ შნაიდერის მოსვლა ითვლება.

### კაროლინა ჰარიქეინზი

„კაროლინას“ უმთავრეს საფიქრალს ტრავმებისგან თავის არიდება წარმოადგენს — 2006 წლის სტენლის თასის მომგები გუნდი ბოლო ორი წელი პლეი ოფში მხოლოდ იმიტომ ვერ ხვდებოდა, რომ გუნდის ლიდერები ძალიან დიდ დროს ატარებდნენ ლაზარეთში.

### ფლორიდა პანტერზი

„ფლორიდას“ წლეულსაც ძალიან გაუჭირდება სერიოზული მიზნებისთვის ბრძოლა. უკვე წლებია „პანტერების“ უმთავრეს თავის ტკივილს არაეფექტური და ნაკლებ შედეგიანი შეტევა წარმოადგენს, წლეულს კი ამ მხრივ კიდევ უარესი მდგომარეობა იქნება, რადგანაც გუნდიდან წავიდა კაპიტანი და მთავარი დამრტყმელი ძალა ოლი იოკინენი.

### ტამპა ბეი ლაითნინგი

ამ ზაფხულს გუნდში თითქმის ყველაფერი შეიცვალა — მფლობელებიდან დაწყებული გუნდის ექიმით დამთავრებული. აბსოლუტურად გადასხვაფერდა შემადგენლობაც და ძველი გვარდიიდან მხოლოდ ვენსან ლეკავალიე და მარტინ სელ ლუიდა დარჩნენ.



ბარი მელროუზი

ბარი მელროუზის სახით კი მწვრთნელად საკმაოდ ოდიოზური ფიგურა დაინიშნა — ბოლო წლებში ის ერთ-ერთ ტელეარხზე ანალიტიკოსად მუშაობდა და თავისი ენამწარეობით გალხდათ ცნობილი. ჰოდა, საინტერესოა, ახლა როგორ გამონახავს საერთოს იმ ჰოკეისტებთან, რომლებიც არაერთხელ და თანაც მწარედ გაუკრიტიკებია.

### ვაშინგტონ კეპიტალზი

„ვაშინგტონმა“ ხანგრძლივი შეხვენების შემდეგ შარშან პლეი ოფი დააგემოვნა და წლეულსაც არანაკლებ მიზნებს ისახავს. გასული სეზონის საუკეთესო სნაიპერისა და ბომბარდირ ალექსანდრ ოვეჩკინის წინამძღოლობით დედაქალაქელები ბევრს გაამწარებენ, მით უმეტეს, რომ გუნდმა ყველა ლიდერი დაიტოვა და ნახევარწლიანი შესვენების შემდეგ მიკაელ ნიულანდერიც დაუბრუნდათ.

**ბაჩა ლომაშვილი**

# სერენა ნა ლით დაჭედეს

**კაცები**
ტოკიო. იაპონია. ჰარდი
საპრიზო 869 000 დოლარი

**მესამე წრე**

დავიდ ფერერი (1, ესპანეთი) — ტაკაო სუზუკი (იაპონია) 4:6 6:3 6:2; რიშარ გასკე (4, საფრანგეთი) — კეი ნიშიკორი (იაპონია) 6:1 6:2; რაინერ შუტლერი (12, გერმანია) — მიხაილ იუჟნი (8, რუსეთი) 6:3 6:7 6:4; ტომაშ ბერდიხი (9, ჩეხეთი) — ტომი რობრედო (6, ესპანეთი) 7:6 6:2; ხუან მარტინ დელ პოტრო (5, არგენტინა) — იარკო ნიემინენი (11, ფინეთი) 6:1 6:3; ფერნანდო გონსალესი (3, ჩილე) — ამირ დელიჩი (აშშ) 6:4 7:6; ენდი როდიკი (2, აშშ) — იურგენ მელცერი (14, ავსტრია) 7:6 6:2; ვიქტორ ტროიცკი (სერბეთი) — ჟო-ვილფრიდ ცონგა (7, საფრანგეთი) 5:7 2:1 (უარი)

**კაცები**
მეცი. საფრანგეთი. ჰარდი
საპრიზო 370 000 ევრო

**მეორე წრე**

კარლოს მოია (ესპანეთი) — ივო კარლოვიჩი (1, ხორვატია) 6:3 7:6; დმიტრი ტურსუნოვი (5, რუსეთი) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 6:2 6:2; ედუარდო შვანკი (არგენტინა) — ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) 7:6 6:7 6:3

**ქალები**
შტუტგარტი. გერმანია. ჰარდი
საპრიზო 650 000 დოლარი

**მეორე წრე**

ელენა დემენტიევა (4, რუსეთი) — სიბილ ბამერი (ავსტრია) 6:1 6:4; ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) — აგნეშკა რადვანსკა (8, პოლონეთი) 6:1 7:5; ნა ლი (ჩინეთი) — სერენა უილიამსი (1, აშშ) 0:6 6:1 6:4; ვერა ზვონარიოვა (7, რუსეთი) — მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) 6:2 6:0

**ქალები**
ტოკიო. იაპონია. ჰარდი
საპრიზო 175 000 დოლარი

**მეორე წრე**

კაროლინ ვოზნიაკი (1, დანია) — აიუმი მორიტა (იაპონია) 6:2 6:1; ტამარინ ტანასუგარნი (7, ტაილანდი) — კამილ პინი (საფრანგეთი) 6:2 6:2; კლარა ზაკოპალოვა (ჩეხეთი) — მარტა დომაჩოვსკა (პოლონეთი) 6:3 6:0; იარმილა გაიდიშოვა (სლოვენია) — შაჰარ პირი (6, ისრაელი) 5:7 6:1 7:6; კაია კანეპი (5, ესტონეთი) — იანინა ვიკმაიერი (ბელგია) 3:6 6:1 6:0; ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუსეთი) — რიკა ფუჯივარა (იაპონია) 6:2 6:4; ალექსანდრა ვოზნიაკი (8, კანადა) — რიოკო ფუდე (იაპონია) 6:1 6:1; სამანტა სტოსური (ავსტრალია) — ანაბელ მედინა-გარიგესი (2, ესპანეთი) 6:1 7:6

**ქალები**
ტაშკენტი. უზბეკეთი. ჰარდი
საპრიზო 145 000 დოლარი

**მეორე წრე**

მარია ნიკულესკუ (6, რუმინეთი) — იაროსლავა შვედოვა (რუსეთი) 6:3 6:4; საბინე ლისიცკი (4, გერმანია) — ალექსანდრა პანოვა (რუსეთი) 7:5 6:1; ურსულა რადვანსკა (პოლონეთი) — სოფო შაფათავა (საქართველო) 7:5 6:2; მარია ლაშერდე ბრიტუ (პორტუგალია) — ტატიანა პუჩეკი (ბელარუსი) 6:4 6:1; მაგდალენა რიბარიკოვა (5, სლოვაკეთი) — ვესნა მანასიევა (რუსეთი) 6:1 7:5; იოანა რალუკა ოლარუ (რუმინეთი) — ქსენია პაპკინა (ყირგიზეთი) 2:6 6:3 6:2

ამ კვირის ყველაზე საინტერესო ტურნირი უდავოდ შტუტგარტში იმართება, სადაც ქალთა ჩოგბურთის ელიტა თითქმის სრულად არის წარმოდგენილი. შედეგად აქ ყველაზე საინტერესო და დაძაბული მატჩები ჩატარდება და სარეიტინგო წინ თუ უკუსვლა აქაურ შედეგებზე დაყრდნობით მოხდება.

გუშინ კი შტუტგარტში სერიოზულად პირველად დაიქუხა — ნა ლიმ სერენა უილიამსი მიჩოგნა და ამერიკელს არა მარტო მეოთხედფინალის საგზური, არამედ მსოფლიოს პირველი ჩოგნის სტატუსიც დააკარგვინა. საერთოდ, მიმდინარე სეზონში ჩინელ ჩოგბურთელებს გვარიანი ქაოსი შეაქვთ რეიტინგში და ლამისაა, ბობოლებს რისხვად ექცნენ. ჯერ იყო და, ზაფხულში ჟი ჟენგმა გამოიჩინა თავი, როცა უიმბლდონის მესამე წრეში ანა ივანოვიჩი წააქცია და პირველი ჩინელი ჩოგბურთელი შეიქნა, ვისაც მოქმედი პირველი ნომერი დაუმარცხებია. ჰოდა, ლიმაც გადაწყვიტა, ბავშვობის მეგობარს არ ჩამორჩენოდა და ჟენგის გმირობა გაიმეორა კიდეც.

არადა, ეს გმირობა რომ იყო, ეჭვი არავის ეპარება — პირველი სეტი სერენამ სრული ფრენით ჩაატარა და მეტოქეს გეიმიც კი არ აალებინა, მაგრამ ლი ამან არ დააბნია და მან ნელ-ნელა მოახვია ამერიკელს თავისი თამაში, რითაც ჯერ ანგარიში გაათანაბრა, გადამწყვეტ პარტიაში კი ბრეიკი მალევე გააკეთა და ეს უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა.

„ასეთი თამაშით რომელ პირველ ნომრობას ვიმსახურებ. არაფრის ღირსი არ ვარ. არადა, რა კარგად დავიწყე, მაგრამ რა დამემართა, წარმოდგენაც კი არ მაქვს" — საკუთარ თავზე ბრაზობდა ნამატჩევს სერენა.

ორშაბათს კი რეიტინგის სათავეში ელენა იანკოვიჩი მოექცევა, რომელიც ტურნირს კიდევ შემორჩენია და ისეთ ფორმაშია, რომ ტიტულამდე მისვლას სერიოზულად უმიზნებს.

სხვა მატჩებიდან აგნეშკა რადვანსკას წაგებაა გამოსაყოფი, რომელიც ვიქტორია აზარენკასთან დამარცხდა. ამით პოლონელმა ფაქტობრივად ხაზი გადაუსვა წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოხვედრის ისედაც მცირეოდენ შანსებს.

ქალები კიდევ ორ ქალაქში — ტოკიოსა და ტაშკენტში — არიან განაწილებულნი, მაგრამ გერმანიასთან შედარებით გაცილებით სუსტი შემადგენლობებით და ამიტომ იქაური პერიპეტიებით თავს აღარ შეგაწყენთ. აი, როცა საფინიშო ხაზზე გავლენ და ტურნირის გადამწყვეტი მატჩებიც დაიწყება, მათზე მაშინ ვილაპარაკოთ.

გაცილებით წარმომადგენლობითია ტოკიოში მიმდინარე კაცთა ტურნირი, სადაც ტოპათეულის რამდენიმე წევრი ჩავიდა.

პირველ რიგში რამდენიმე დღის წინ ბანგკოკში თავგამოჩენილი ჟოვილფრედ ცონგას გავარდნა გამოვყოთ. ფრანგს არ გაუმართლა და ფეხის კუნთი გაიჭიმა, რის გამოც შეხვედრის ნაადრევად დასრულება მოუხდა. არადა, ამ მომენტისთვის ის წინ იყო.

წააგო კიდევ ერთმა განთესილმა მიხაილ იუჟნიმ, რომელიც რაინერ შუტლერმა ორ სეტში დააჩოქა და მოსკოვის ბილეთი გამოუწერა.

აღვნიშნოთ დავიდ ფერერის მოგებაც, რომელიც რისვაი-ვაგლახით მოერია მსოფლიოს 593-ე ნომერ ტაკაო სუზუკის. ესპანელს წინ გაცილებით ძლიერი მეტოქე ელის ბოლო თვეებში ალბათ ყველაზე შთამბეჭდავად მოთამაშე ხუან მარტინ დელ პოტროს სახით, რომელიც იარკო ნიემინენს გუშინ უპრობლემოდ გაუმკლავდა.

**კახა ლომაშვილი**


ნა ლი



## უეფას თასი 2008-09
## I ეტაპი. II მატჩები

შალკე (გერმანია) 1:1 აპოელ (კვიპროსი) (4:1)
0:1 პინტუ (6), 1:1 პანდერი (56)

ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) 5:0 ნორდსიელანდი (დანია) (2:0)
1:0 ტოროსიდისი (11), 2:0, 3:0 დიოგო (30, 43), 4:0, 5:0 კოვაჩევიჩი (72, 80)

ვალენსია (ესპანეთი) 2:1 მარიტიმუ (პორტუგალია) (1:0)
0:1 მარსინიო (40), 1:1 დელ ორნო (81), 2:1 ვილია (90პენ)

ჰერენვენი (ჰოლანდია) 5:2 სეტუბალი (პორტუგალია) (1:1)
1:0 ენრიკე (6), 2:0, 3:0 სიბონი (13, 24), 4:0 ელიონუსი (50), 4:1 გამა (57), 4:2 ჩავესი (64), 5:2 ელიონუსი (68)

არტმედია (სლოვაკეთი) 0:2 ბრაგა (პორტუგალია) (0:4)
0:1, 0:2 აგიარი (113, 30)

ვისლა (პოლონეთი) 1:1 ტოტენჰემი (ინგლისი) (1:2)
0:1 გლოვაცკი (58ს.კ.), 1:1 ბროზეკი (83)

სტანდარდი (ბელგია) 2:1 ევერტონი (ინგლისი) (2:2)
1:0 ვიტცელი (22), 1:1 იაგიელკა (67), 2:1 იოვანოვიჩი (79პ)

ბენფიკა (პორტუგალია) 2:0 ნაპოლი (იტალია) (2:3)
1:0 რეიესი (57), 2:0 ნუნუ გომეში (83)

აიაქსი (ჰოლანდია) 2:0 ბორაცი (სერბეთი) (4:1)
1:0 სარპონგი (71), 2:0 სუარესი (90)

ტვენტე (ჰოლანდია) 1:0 რენი (საფრანგეთი) (1:2)
1:0 ნკუფო (68)

უდინეზე (იტალია) 0:2დ.დ. (4:3პ, 0:2) დორტმუნდი (გერმანია) (2:0)
0:1, 0:2 ჰაინალი (45, 90)

ზალცბურგი (ავსტრია) 0:2 სევილია (ესპანეთი) (0:2)
0:1, 0:2 კანუტე (37, 57პ)

სპარტა (ჩეხეთი) 3:3 დინამო (ზაგრები, ხორვატია) (0:0)
0:1 მორალესი (16), 1:1 კულიჩი (19), 2:1 კლადრუბსკი (23), 2:2 ლოვრენი (30), 2:3 ბადელი (66), 3:3 კლადრუბსკი (81პ)

ციურიხი (შვეიცარია) 0:1 მილანი (იტალია) (1:3)
0:1 შევჩენკო (70)

რუსენბორგი (ნორვეგია) 3:2 ბრონდბიუ (დანია) (2:1)
1:0 კონანი (15), 1:1 რასმუსენი (26), 1:2 კრისტიანსენი (36), 2:2 სკილბრედი (74), 3:2 საპარა (85პ)

კაუნასი (ლიტვა) 1:2 სამპდორია (იტალია) (0:5)
1:0 ზელმიკასი (17), 1:1 ფორნაროლი (51), 1:2 ბონაცოლი (58)

ჰონკა (ფინეთი) 0:1 რასინგი (ესპანეთი) (0:1)
0:1 ბედია (2)

პსჟ (საფრანგეთი) 0:0 ქაისერი (თურქეთი) (2:1)

ბრიუგე (ბელგია) 2:0 იანგ ბოისი (შვეიცარია) (2:2)
1:0 აკპალა (17), 2:0 სონკო (29)

გალათასარაი (თურქეთი) 2:1 ბელინცონა (შვეიცარია) (4:3)
1:0 ბაროში (24პ), 1:1 სერმეტერი (53პ), 2:1 ილდიზი (85)

დინამო (ბუქარესტი, რუმინეთი) 0:0 ნაიმეგენი (ჰოლანდია) (0:1)

პარტიზანი (სერბეთი) 1:0 ტიმიშოარა (რუმინეთი) (2:1)
1:0 სტევანოვიჩი (69)

მეტალისტი (უკრაინა) 4:1 ბეშიქთაში (თურქეთი) (0:1)
1:0 კოელიო (15), 2:0 დევიჩი (25), 3:0 კოელიო (70), 4:0 განჩარუკი (79), 4:1 ნობრე (90)

ლევსკი (ბულგარეთი) 0:1 ჟილინა (სლოვაკეთი) (1:1)
0:1 ადაუტო (60)

ლეხი (პოლონეთი) 4:2დ.დ. (2:1) აუსტრია (ავსტრია) (1:2)
1:0 რენგიფო (10), 1:1 აჩიმოვიჩი (61პ), 2:1 პეჟკო (85), 3:1 ლევანდოვსკი (98), 3:2 ჰატენბერგერი (100), 4:2 მურავსკი (120)

ვასლუი (რუმინეთი) 1:1 სლავია (ჩეხეთი) (0:0)
1:0 ბურდუიანი (21), 1:1 ბრაბეცი (49)

გიმარაეში (პორტუგალია) 2:2დ.დ. (2:0) პორტსმუთი (ინგლისი) (0:2)
1:0 დუგლასი (19), 2:0 ალვეში (32), 2:1, 2:2 კრაუჩი (105, 111)

დეპორტივო (ესპანეთი) 2:0 (3:2პენ) ბრანი (ნორვეგია) (0:2)
1:0, 2:0 კოლოტო (18, 76)

მოზერუელი (შოტლანდია) 0:2 ნანსი (საფრანგეთი) (0:1)
0:1 ფორჩუნი (18), 0:2 გავანონი (23)

მანჩესტერ სიტი (ინგლისი) 2:1 ომონია (კვიპროსი) (2:1)
1:0 ელანო (48), 2:0 რაიტ-ფილიპსი (55), 2:1 ალაბი (78)

კალმარი (შვედეთი) 1:2 ფეიენოორდი (ჰოლანდია) (1:0)
0:1 უინალდუმი (17), 1:1 იოჰანსონი (46), 1:2 ფერი (51)

უნირეა (რუმინეთი) 0:2 ჰამბურგი (გერმანია) (0:0)
0:1, 0:2 პეტრიჩი (27, 51)

რაპიდი (რუმინეთი) 1:1 ვოლფსბურგი (გერმანია) (0:1)
0:1 გრაფიტე (16), 1:1 მაფტეი (70)

სპარტაკი (რუსეთი) 1:1 ბანიკი (ჩეხეთი) (1:0)
1:0 ბაჟენოვი (3), 1:1 ოტეპკა (32)

სენტ-ეტიენი (საფრანგეთი) 2:1 ჰაპოელი (ისრაელი) (2:1)
1:0, 2:0 გომისი (25, 76), 2:1 ს. იებოა (90)

შტუტგარტი (გერმანია) 2:2 ჩერნო მორე (ბულგარეთი) (2:1)
0:1 იურუკოვი (47), 0:2 გუსევი (79), 1:2 პიცლშპერგერი (82), 2:2 გომესი (90)

ასტონ ვილა (ინგლისი) 1:1 ლიტექსი (ბულგარეთი) (3:1)
1:0 ბარვუდი (27), 1:1 ნიფლორე (53პ)

კოპენჰაგენი (დანია) 1:1 მოსკვა (რუსეთი) (2:1)
0:1 ბრაკამონტე (37), 1:1 შეშუკოვი (54ს.კ.)

### იტალია
**თასი**
ჯენოა 2:1 რავენა

### შვედეთი
**ალსვენსკა**
იურგორდენი 1:1 ნორჩიოპინგი

### ფინეთი
**იუკონენი**
კემი 2:1 ოულუ

**თასი**
ჰიკ — ვაასა გადაიდო

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge